პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 12 სექტემბერი, 1947 წ. № 182 (7966). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში.

უკეთესად ვუხელმძღვანელოთ სააგიტაციო მუშაობას — მოწინავე (1-ლი გვერდი).
პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში (1-ლი გვერდი).
დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება — ყურადღება ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების მუშაობას (მე-2 გვერდი).
საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ საშემოდგომო ხვნა-თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის (მე-2 გვერდი).
ს. ძერჟინსკაია — კომუნიზმის კეთილშობილი რაინდი (მე-2 გვერდი).
ს. ჭილაია — ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი (მე-3 გვერდი).
ე. ხუნდაძე — კორნილოვის ამბოხების განადგურება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

უკეთესად ვუხელმძღვანელოთ სააგიტაციო მუშაობას

ბოლშევიკურმა პარტიამ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დიდი ამოცანები. ეს ამოცანები სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განმტკიცების ინტერესებით არის ნაკარნახევი. ამ ამოცანათა ღრმად გაგება მათი წარმატებით განხორციელების საწინდარია. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ზრუნვა მასების სოციალისტური შეგნებულობის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ მათ კარგად ჰქონდეთ შეგნებული ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა, ჩვენი განვითარების პერსპექტივები, ჩვენი ამოცანები. დიდია ბოლშევიკური აგიტაციის როლი მშრომელთა პოლიტიკური დონის ამაღლების, პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის მათი დარაზმვის საქმეში. პარტიული ორგანიზაციების მხრივ აგიტაციის როლის სწორად გაგება უზრუნველჰყოფს ბოლშევიკური აგიტაციის მაღალ პოლიტიკურ დონეს.

სერიოზულ ყურადღებას უთმობს საგიტაციო მუშაობისადმი ხელმძღვანელობას თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია. ფაბრიკაში 50-ზე მეტი აგიტატორი მუშაობს. მათ დასახმარებლად სისტემატურად იმართება აგიტკოლექტივის სემინარები, ეწყობა გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ლექციები, მოხსენებანი. პარტიული ბიურო ხშირად ამოწმებს აგიტაციის მდგომარეობას ცალკე საამქროთა მიხედვით, შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ იღებს ზომებს, ისმენს ცალკეულ აგიტატორთა მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ და აძლევს საჭირო მითითებებს. ასეთმა ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო აგიტაციის მაღალი დონე. აგიტაცია აქ სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების სერიოზულ საშუალებად გადაიქცა. მაგალითისათვის კამვოლური საამქროს დასახელება შეიძლება. საამქრო თვეობით ვერ ასრულებდა დავალებებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტე იყო. სხვა ღონისძიებებთან ერთად პარტიულმა ორგანიზაციამ საამქროში საგიტაციო მუშაობის გარდაქმნაც განახორციელა. აგიტატორები უნარიანად განუმარტავენ მუშებს მეოთხე ხუთწლედით დასახულ ამოცანებს, მათი შესრულების მნიშვნელობას საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის, უხსნიან იმას, თუ რა კონკრეტული ამოცანა დგას მათი ფაბრიკის, საამქროს წინაშე, რა არის საჭირო მათ შესასრულებლად. აგიტატორები თვითონ იძლევიან თავდადებული შრომის ნიმუშებს. თუ საამქროში ივლისში დაიწყო გარდატეხა და აგვისტოს დავალება 124,4 პროცენტით შესრულდა, ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღვით საამქროს აგიტატორებს.

კარგად ხელმძღვანელობს საგიტაციო მუშაობას ცხაკაიის პირველი მტს-ის პარტიული ორგანიზაცია. იგი ზრუნავს იმისათვის, რომ აგიტატორების მუშაობა მაღალ იდეურ დონეზე იდგეს, მტს-ს მუშაკებს უნერგავდეს სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, რაზმავდეს მათ დავალებათა დროულად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. აგიტატორთა ინიციატივით ბრიგადებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, სისტემატურად გამოდის ფურცლები „ელვა", სადაც შუქდება, თუ ვინ როგორ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას მოითხოვენ სოფლის აგიტატორები, მით უმეტეს ცენტრიდან დაშორებულ და მთიან რაიონებში. მათ სისტემატურად უნდა მივაწოდოთ ახალი გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, უზრუნველვყოთ რადიოინფორმაციით. ეს ყველგან როდი ექცევა ყურადღებას. მაგალითად, პარტიის ახმეტის რაიკომმა ვერ უზრუნველჰყო მთათუშეთის კოლმეურნეობათათვის გაზეთებისა და ლიტერატურის სისტემატური მიწოდება. მთათუშეთში არც რადიოინფორმაციის მიღებაა მოწყობილი. ამიტომ აქაური აგიტატორები თავიანთი თავის ანაბარა არიან მიტოვებული. მართალია ზოგიერთი აგიტატორი, მაგალითად, დ. ომაიძე, მ. შავლიძე, ნ. მარხვაიძე (სოფელი დართლო), თვითონვე ახერხებს ახალი გაზეთების მიღებას და აქტიურ საგიტაციო მუშაობას ეწევა — აცნობს კოლმეურნეებს პარტიის და მთავრობის ყოველ ახალ ღონისძიებას, რაზმავს მათ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მოსავლიანობის გასადიდებლად. მაგრამ ყველა აგიტატორს ხომ არა აქვს შესაძლებლობა ასე მოაწყოს საქმე? საქართველოს კ. პ. (ბ) ახმეტის რაიკომმა უნდა მიიღოს ზომები მთათუშეთის აგიტატორებისათვის ჟურნალ-გაზეთების დროულად მისაწოდებლად.

არის შემთხვევები, როცა პარტიული ორგანიზაციები აგიტატორთა მარტო გამოყოფით კმაყოფილდებიან და შემდეგ აღარ აინტერესებთ, თუ რა მუშაობას ეწევიან ისინი, არ ამოწმებენ და არ ეხმარებიან მათ. ქარელის რაიონის სოფელ ქვენატკოცა-მეორეს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია დახმარებასა და კონტროლს არ უწევს აგიტატორებს და ისინიც იშვიათად დადიან ბრიგადებში. ამავე რაიონის ოქროსოფლის პარტიულ ორგანიზაციასთან აგიტკოლექტივი ფორმალურად არსებობს. იგი არავითარ დახმარებას არ უწევს აგიტატორებს. აგიტატორებიც თავის მხრივ არაფერს აკეთებენ.

პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ სისტემატურად უხელმძღვანელონ საგიტაციო მუშაობას. საგიტაციო მუშაობისადმი სწორი ხელმძღვანელობა კი ნიშნავს შეუნელებლად ვიზრუნოთ აგიტაციის იდეური შინაარსისათვის, მისი მაღალი პოლიტიკური დონისათვის. საჭიროა ყოველდღიური კონტროლი გავუწიოთ აგიტატორთა მუშაობას, დროზე მივიღოთ ზომები შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად. პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვალდებულია ესწრებოდეს საგიტაციო საუბრებს, არკვევდეს ვის რა დახმარება სჭირდება, ეხმარებოდეს აგიტატორებს.

საგიტაციო მუშაობის ხარისხი დამოკიდებულია იმ ადამიანთა პოლიტიკურ დონეზე, რომლებიც მას ეწევიან. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან აგიტატორებად შეარჩიონ პოლიტიკურად მომზადებული ამხანაგები, ამასთან საქმე ისე მოაწყონ, რომ აგიტატორები არ ჩამორჩნენ მოვლენებს, სისტემატურად იმაღლებდნენ თეორიულ დონეს, ეუფლებოდნენ აგიტაციის ხელოვნებას.

აგიტატორებს მოეთხოვებათ ყოველდღიურად განუმარტონ მშრომელებს პარტიის პოლიტიკის არსი, ჩვენი განვითარების პერსპექტივები, აუხსნან თუ რამდენად არის დამოკიდებული საერთო წარმატება, სოციალისტური სამშობლოს განმტკიცება, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება თვითეული მშრომელის თავდადებულ მუშაობაზე. ამასთან ბოლშევიკი აგიტატორის ვალია აგიტაცია გასწიოს პირადი მაგალითითაც. უჩვენოს მასებს თავდადებული შრომის ნიმუშები.

პარტიის რაიონული კომიტეტები კარგად უნდა იცნობდნენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობას თვითეულ საწარმოსა თუ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა თუ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. ისინი უნდა დაეხმარონ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა ცალკეულ პირველად ორგანიზაციაში ხშირად უნდა ხდებოდეს რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი.

გავაძლიეროთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, შეუნელებლად ვიზრუნოთ აგიტაციის თეორიული დონის ასამაღლებლად. ეს დაგვეხმარება იმ დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებაში, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის წინაშე სახავენ ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი.

1947 წლის გეგმა შეასრულეს:

(1 სექტემბრისათვის)

ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი დ. ცინცაბაძე, მთავარი ტექნოლოგი გ. წილოსანი)	105,9 პროცენტით;
წულუკიძის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი კ. კარსანიძე, მთავარი ტექნოლოგი გ. პაპავა)	101,5 პროცენტით;
ორპირის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ი. ჩიგოგიძე, მთავარი ტექნოლოგი მ. დეისაძე)	106 პროცენტით;
ნატანების ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი გ. გოგუაძე, მთავარი ტექნოლოგი ქ. დოლიძე)	100,6 პროცენტით;
აცანის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ბ. მემარნიშვილი, მთავარი ტექნოლოგი გ. პინაიშვილი)	100,4 პროცენტით;
შრომის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ვ. ტაკიძე, მთავარი ტექნოლოგი გ. თავამაიშვილი)	104,6 პროცენტით;
ბანძის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ვ. გაგუა, მთავარი ტექნოლოგი ი. კაჭარავა)	100,5 პროცენტით.

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. მ. პოპოვმა სადილი გამართა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და ქალაქების დელეგატთა— ქალაქ მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულის მონაწილეთა პატივსაცემად

8 სექტემბერს მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. მ. პოპოვმა სადილი გამართა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და ქალაქების დელეგატთა — მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულის მონაწილეთა პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვლასოვი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. როდიონოვი, მოკავშირე სოციალისტურ რესპუბლიკათა დელეგაციები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და რსფს რესპუბლიკის უდიდესი ქალაქების წარმომადგენლები.

სადილმა გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. მ. პოპოვმა სადილი გამართა უცხო სახელმწიფოების დედაქალაქთა დელეგაციების პატივსაცემად, რომლებიც ჩამოვიდნენ ქალაქ მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად

9 სექტემბერს მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. მ. პოპოვმა სადილი გამართა უცხო სახელმწიფოების დედაქალაქთა დელეგაციების პატივსაცემად, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

სადილზე იყვნენ უცხო სახელმწიფოების დედაქალაქთა დელეგაციები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს. ი. ვავილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მ. ბ. ხრაპჩენკო, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ს. კემენოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ბ. ნ. ჩერნოუსოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. პ. ფირიუბინი, ლ. მ. ლეონოვი, ტ. ვ. ფედოროვა, დ. ნ. ჩეჩულინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და სხვ.

სადილმა გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საფრანგეთ-საბჭოთა პროფკავშირული კომიტეტის მესამე სესია

9 სექტემბერს მოსკოვში გაიხსნა საფრანგეთ-საბჭოთა პროფკავშირული კომიტეტის მესამე სესია. დღის წესრიგშია: ურთიერთი ინფორმაცია პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მუშაობის შესახებ; სსრ კავშირისა და საფრანგეთის პროფკავშირთა შორის კავშირის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩამოვიდა შრომის საყოველთაო კონფედერაციის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნები ლეონ ჟუო (ხელმძღვანელი) და ბენუა ფრაშონი, შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანი და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი, მაღაროელთა ეროვნული ფედერაციის მდივანი ანრი მარტელი, მეთამბაქოეთა ფედერაციის გენერალური მდივანი მარსელ დელიაბი, მშენებელ მუშათა ფედერაციის მდივანი ლუსიენ ლაბრუსი, დელეგაციის მდივანი ავგუსტინა ბრუკლენ-ჟუო.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ლ. ნ. სოლოვიოვი, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს საერთაშორისო განყოფილების გამგე ს. ნ. როსტოვსკი და სხვები. (საკდესი).

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

ინტელიგენციაში კულტურული და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების შესახებ

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ინტელიგენციაში კულტურული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების შესახებ.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს ჩვენი ინტელიგენციის შესანიშნავ როლს მოწინავე საბჭოთა კულტურის განვითარებაში და წინადადებას აძლევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს მეტი ყურადღება მიაქციონ სამეცნიერო დაწესებულებების, სამინისტროების, ინსტიტუტების, სასწავლებლების მუშაკებს. პროფკავშირთა ცენტრალურმა, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა სისტემატურად უნდა მოაწყონ ინტელიგენციისათვის ლექციები და მოხსენებები პოლიტიკურ თემებზე.

უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა, ხელოვნების მუშაკთა, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფორგანიზაციებს დაევალათ გააუმჯობესონ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების ფილიალთა მუშაობა, მსმენელებად მოიზიდონ მეცნიერი და შემოქმედებითი მუშაკების ძირითადი მასა. სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს რჩევა ეძლევათ გახსნან მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტების ფილიალები ექიმებისა და მეცნიერ მუშაკებისათვის.

კულტურის სასახლეებსა და კლუბებში საქარხნო ინტელიგენციისათვის ეწყობა ლექციების ციკლი საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევების შესახებ. (საკდესი).

უკრაინელ კოოპერატორთა დელეგაცია თბილისში

გუშინ, 11 სექტემბერს, თბილისში ჩამოვიდა უკრაინის სს რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა დელეგაცია 13 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას ხელმძღვანელობს უკრაინის სამომხმარებლო საზოგადოებათა რესპუბლიკური კავშირის („უკროპსპილკის") პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ნ. გულიევი. დელეგაციაში შედიან: იმიერკარპატის საოლქო სამომხმარებლო კოოპერატიული კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ტ. შილო, პერენზნენსკის რაიკოოპკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ი. პლახოი, იმიერკარპატის საოლქო სამომხმარებლო კავშირის დამზადების რწმუნებული ნ. დ. რომანცოვი, უკრაინის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ი. ი. მაევსკი, ანდრეევის სოფლის კოოპერატივის დახლის მუშაკი მარიამ კორობკო და სხვ.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრების განახლება უკრაინისა და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციების მუშაკთა შორის.

დელეგაცია გაეცნობა ცეკავშირის სავაჭრო ქსელსა და მისი საწარმოების მუშაობას თბილისში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, მახარაძეში, მარნეულში, სიღნაღში, ბოლნისში და სხვაგან.

დღეს დელეგაცია მიემგზავრება ქალაქ გორში იმ ისტორიული სახლის დასათვალიერებლად, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის წარჩინებული სტახანოველები (მარცხნიდან მარჯვნივ) მეთუნუქე შ. ლისნიაკი, ჩამომსხმელი ი. ჯიშკარიანი, ხარატი ი. არაბიძე და ზეინკალი პ. თვაური, რომლებმაც იკისრეს წლიური საწარმოო დავალების 1 ოქტომბრისათვის შესრულება.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად

თბილისის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა რვა თვის გეგმა

თბილისის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ დიდი ოქტომბრის XXX წლისთავისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, აგვისტოში სერიოზული საწარმოო წარმატებები მოიპოვეს.

საერთო პროდუქციის გამოშვების აგვისტოს გეგმა თბილისის მრეწველობამ შეასრულა 110,1 პროცენტით, ხოლო რვა თვის პროგრამა — 106,2 პროცენტით.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა აგვისტოს გეგმა შეასრულეს 120,4 პროცენტით, რვა თვისა — 114,5 პროცენტით. საგემოვნო მრეწველობის საწარმოებს აგვისტოს დავალება განაღდებული აქვთ 118,3 პროცენტით, რვა თვისა — 114,6 პროცენტით. საფეიქრო მრეწველობის ხაზით აგვისტოს გეგმის შესრულება უდრის 115,3 პროცენტს, რვა თვის გეგმისა — 109,3 პროცენტს. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს აგვისტოს დავალება შესრულებული აქვთ 110,8 პროცენტით, რვა თვისა — 110 პროცენტით.

საკავშირო დაქვემდებარების ლითონდამმუშავებელმა საწარმოებმა აგვისტოს გეგმა გაანაღდეს 103,4 პროცენტით, რვა თვისა — 105,4 პროცენტით.

მეტი და მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტები

მეტი და მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტები სამშობლოს საოქტომბროდ, — ასეთი ლოზუნგით იბრძვიან ქუთაისის საკონსერვო ქარხნის, საკონდიტრო ფაბრიკის, რძის ქარხნის, ხორცკომბინატის, სამტრესტის ღვინის ქარხნისა და პურის კომბინატის კოლექტივები.

მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანამ ნატურალური პროდუქციის გამოშვების 8 თვის საწარმოო გეგმა 112 პროცენტით შეასრულა. ეს წარმატება უზრუნველჰყო საამქროთა კოლექტივების მაღალნაყოფიერმა მუშაობამ. მთავარმა საამქრომ (უფროსი ბ. ფირაძე) 8 თვეში გეგმის გადამეტებით 140 ათასი პირობითი ქილა კონსერვი გამოუშვა, ხოლო სამურაბე საამქრომ (უფროსი მ. ანდღულაძე) 1 სექტემბრისათვის წლიურ პროგრამას მნიშვნელოვნად გადააჭარბა.

რძის ქარხანამ, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა შეჯიბრებაში სსრ კავშირის მასშტაბით, 5 სექტემბრისათვის დაამთავრა წლიური გეგმის შესრულება. დავალება შესრულებულია ყველა ასორტიმენტის მიხედვით. ქარხანაში მაღალია შრომის ნაყოფიერება და დაცულია სანიმუშო სისუფთავე.

ნაკისრ ვალდებულებას ანაღდებს სამტრესტის ღვინის ქარხანა, რომელმაც 8 თვის გეგმა 147 პროცენტით შეასრულა და კარგად მოემზადა ახალი სეზონისათვის. წელს აქ უნდა გადაამუშაონ 500 ტონა ყურძენი და ჩამოასხან 31.500 დეკალიტრი ღვინო.

თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა აგრეთვე საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივმა.

გ. მეფისაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ელმავლების მემანქანეებმა 85 ათასი მანეთი დაზოგეს

ხაშურის საელმავლო დეპოს მემანქანეები წარმატებით ანაღდებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. სატვირთო მატარებლების ელმავლებმა ნორმით აწევითი შეკეთებიდან შეკეთებამდე უნდა გაიარონ 70 ათასი კილომეტრი, სახალხო მატარებლების ელმავლებმა — 80 ათასი კილომეტრი, ხოლო დამხმარე ელმავლებმა — 50 ათასი კილომეტრი. მემანქანეები ამ ნორმებს დიდად აჭარბებენ. უფროსი მემანქანის ბ. გელაშვილის ელმავალმა გაიარა 113.405 კილომეტრი და დაზოგა 11.664 მანეთი; უფროსი მემანქანის ი. ბეროზაშვილის ელმავალმა 104.650 კილომეტრი და დაზოგა 23.850 მანეთი, უფროსი მემანქანის გ. კვლიშვილის ელმავალმა 119.880 კილომეტრი და დაზოგა 5.300 მანეთი.

ელმავლების გარბენის ნორმების გადაჭარბებასა და ამ გზით სახსრების დაზოგვაში თავი ისახელეს აგრეთვე გ. ბუღაძის, ე. ხაჩიძის, შ. ქალიაშვილის, მ. თავდიშვილის, ვლ. ნემსაძის, ვლ. კიკნაძის, მ. გელაშვილისა და გ. აბაძის ელმავლების ბრიგადებმა. საელმავლო დეპოს ლუნინელმა მემანქანეებმა 7 თვეში 85 ათასი მანეთი დაზოგეს.

საელმავლო გუნდის უფროსმა მემანქანემ კომუნისტმა ი. ბეროზაშვილმა დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის იკისრა ელმავლის მოხარატებიდან მოხარატებამდე, 50 ათასი კილომეტრის ნაცვლად, გაიაროს 250 ათასი კილომეტრი. უფროსმა მემანქანემ კომუნისტმა ს. ელისაშვილმა დაივალა — 300 ათასი კილომეტრამდე აიყვანოს გარბენა მოხარატებიდან მოხარატებამდე. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ა. ფცქიალაძემ და ელმავლის ბევრმა სხვა მემანქანემ.

ა. ჯანჯღავა
ხაშურის საელმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ე. ღავთაძე, პარტბიუროს მდივანი გ. ხომერიკი) ივლისში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 107,8 პროცენტით.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ შეაჯამეს რა საფეიქრო ფაბრიკების ივლისის მუშაობის შედეგები, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს და მესამე ადგილი მიაკუთვნეს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივს.

ცხრა თვის გეგმა 111.9 პროცენტით

ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა ინიციატივით დაწყებულ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის ზეთსახდელი ქარხნის კოლექტივი დიდ წარმატებებს აღწევს. საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა ქარხანამ 6 სექტემბრისათვის შეასრულა 111,9 პროცენტით (უცვლელ ფასებში), ხოლო ნატურალური პროდუქციის გამოშვებისა — 100 პროცენტით.

ივნისსა და ივლისში ზეთსახდელი ქარხნის კოლექტივმა ზედიზედ მოიპოვა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

პარტიული ცხოვრება

ყურადღება ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების მუშაობას

პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ი. გოგობერიშვილმა სოფლის საბჭოს აღმასკომის მდივანს, კომუნისტ თ. წულუკიძეს პარტიული ორგანიზაციის წევრთა სია გადასცა და გააფრთხილა:

— ხვალ პარტიული კრება იქნება, კომუნისტებს გამოუცხადე, ამ უწყებაზე მოაწერინე ხელით. წულუკიძეს ეს არ გაჰკვირვებია: აქ პარტიული კრების მოწვევას კომუნისტებს ყოველთვის ასე ატყობინებენ, განცხადებას არ აკრავენ, უწყებაზე აწერინებენ ხელს, ეს, ასე ვთქვათ, „პასუხისმგებლობისათვის".

მეორე დღეს შესდგა კრება. თავმჯდომარემ კრება გახსნა და განაცხადა:

— საკოლმეურნეო ფერმის მუშაობის შესახებ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ზოოტექნიკოს ა. გოცირიძეს. ამხ. გოცირიძე სახტად დარჩა:—არავის გავუფრთხილებივარ და ასე მოუმზადებლად როგორ შემიძლია მოხსენება გავაკეთოო. იძულებული გახდნენ მოუმზადებლობის გამო საკითხი დღის წესრიგიდან მოეხსნათ.

პარტიული კრებების ასე მოუმზადებლად მოწვევა იშვიათი როდია სოფელ ასურეთის (თეთრი წყაროს რაიონი) ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციაში. გარდა ამისა, კრებებზე განსახილველად ადგილობრივ, აქტუალურ საკითხებს ნაკლებად აყენებენ, ზემოდან მითითებას უცდიან. სრულიად არადამაკმაყოფილებელია იდეოლოგიური მუშაობა—კომუნისტები არ მეცადინეობენ თეორიის დასაუფლებლად. არიან ისეთები, რომელთაც მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა დამოუკიდებლად არ ძალუძთ და სურვილი აქვთ წრეში გაერთიანდნენ, მაგრამ წრე არ არსებობს.

სიის მიხედვით პარტიულ ორგანიზაციას 3 აგიტატორი ჰყავს გამოყოფილი, მაგრამ არცერთი მათგანი არაფერს აკეთებს. წელს არც კედლის გაზეთი გამოუშვიათ. მართალია, პარტიულმა ორგანიზაციამ შესცვალა კედლის გაზეთის რედაქტორი, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა. პარტიულ დავალებათა განაწილებაც ხელაღებით ხდება — გათვალისწინებული არ არის ცალკეულის უნარი. ახალგაზრდა კომუნისტებთან არავითარი მუშაობა არ წარმოებს. შედეგიც ნათელია: ორგანიზაციაში პარტიის წევრობის 4 კანდიდატი ირიცხება და ყველა მათგანს 2-3 წელია საკანდიდატო სტაჟი გაუვიდა.

პარტიული ორგანიზაციის როლი სრულებით არ სჩანს სოფლის ცხოვრებაში. მაგალითად, სოფლის ცენტრში გზა ძლიერ გაფუჭებულია. მისი შეკეთება არც ისე დიდ შრომას მოითხოვს. საჭიროა მხოლოდ ინიციატივა, მონდომება. ამას კი პარტიული ორგანიზაცია არ იჩენს. სოფელში არის ბიბლიოთეკა, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციას ერთხელაც არ შეუსწავლია მისი მუშაობა. ბიბლიოთეკა ღარიბია ლიტერატურით, მშრომელები აქ ვერ ნახულობენ მათთვის საინტერესო წიგნებს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს თეთრი წყაროს სასოფლო საბჭოსთან არსებული ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციაც (მდივანი ამხ. ა. ყანჩაველი). პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას არც აქ აქცევენ ყურადღებას. კარგი ხანია პარტორგანიზაციამ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრე შეჰქმნა. პროპაგანდისტიც გამოუყვეს. ყველა 27 კომუნისტმა წრეში მეცადინეობის სურვილი განაცხადა. მაგრამ დღემდე ერთი მეცადინეობაც არ ჩატარებულა მსმენელთა დაუსწრებლობის მიზეზით. პროპაგანდისტმა დახმარებისათვის რამდენჯერმე მიმართა პარტიული ორგანიზაციის მდივანს, მაგრამ მისგან ასეთი პასუხი მიიღო:

— პარტიულ კრებაზე ვერ მომიყვანია ხალხი და შენ რა უნდა დაგეხმაროო!

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორგანიზაციაში პარტიულ კრებაზე დაუსწრებლად კომუნისტებს ხელწერილებს ადებინებენ. კრებების ოქმები ყოვლად უხეიროდ ფორმდება. მათში არ შეაქვთ კამათში მონაწილე ამხანაგების სიტყვების შინაარსი. ამ ორგანიზაციაშიც საკმაო რაოდენობით ირიცხებიან სტაჟგადაცილებული კანდიდატები.

ცხადია, აღნიშნულ ორგანიზაციებს პარტიის რაიონული კომიტეტის მხრივ დახმარება რომ ჰქონოდათ, ასეთ ნაკლოვანებებსაც აღარ ექნებოდა ადგილი. უყურადღებოდ, ძლიერ უყურადღებოდ არიან მიტოვებული ეს პარტიული ორგანიზაციები.

დ. კობახიძე
„კომუნისტის" კორესპონდენტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის პლენუმი

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. პ. ბაქრაძის საანგარიშო მოხსენება რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები კ. მურადაშვილი, ქ. ჯორიაშვილი, პ. სახეჩიძე, ა. გველესიანი, ა. ჭურაძე და სხვ. პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

სასწავლებელში წასვლის გამო პლენუმმა ამხ. პ. ბაქრაძე გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ე. გოგიაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტკოლეგიის მდივანი ამხ. გ. თვალჭრელიძე.

საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ საშემოდგომო ხვნა-თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის!

გორის რაიონის სოფელ ბერბუკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში აგრონომი ი. ჩიხლაძე (მარცხნივ) და სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ა. თვალიაშვილი ამოწმებენ ნახნავის სიღრმეს. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ხვნა ჩამორჩა, ტრაქტორები და ხარები მოცდარია

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში. სოფელ ურიათუბნის კოლმეურნეობა „სოციალისტურ გზაში" (თავმჯდომარე ი. თადიაშვილი) არც კი იციან რომელი გუთნეული დღეში რამდენს ხნავს. კოლმეურნეობის საერთო კრებას არ განუხილავს საშემოდგომო ხვნა-თესვის საკითხები. არც თესლი აქვთ საკმარისი. ამავე სოფლის კოლმეურნეობა „წითელ უბანში" (თავმჯდომარე გ. მირველაშვილი) საშემოდგომოდ 127 ჰექტარი უნდა მოხნან, მაგრამ გეგმით გათვალისწინებული 3 გუთნის ნაცვლად 2 გუთანს ამუშავებენ. ჩამორჩენილია ზ. ყარაბაღიშვილის ბრიგადა. აქ (გუთნისდედა მ. ყარაბაღიშვილი) 7 დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი ჰექტარი მოხნეს, აკლიათ 8 ტონამდე თესლიც.

სოფელ შაშიანის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. წიკლაური) გეგმით ყოველდღიურად 3 გუთანს უნდა ამუშავებდნენ, მაგრამ ხშირად არცერთი არ მუშაობს. 150 ჰექტარიდან ხარებით მხოლოდ 4,5 ჰექტარია მოხნული. დავალებას ვერ ასრულებენ ბრიგადირები მ. ჭანტურიძე და ვ. გოგიშვილი, გუთნისდედები მ. ხოტენაშვილი, გ. კაკიაშვილი და სხვ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა საჭიროდ არ ჩათვალეს, რომ საშემოდგომო თესვის საკითხი საერთო კრების მსჯელობის საგნად გაეხადათ.

ცუდი მდგომარეობაა სოფელ კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე ი. ბერიანიძე). 300 ჰექტარიდან მუშა პირუტყვით მხოლოდ 0,5 ჰექტარია მოხნული. ერთი გუთანი 28 აგვისტოს მთელი დღე მომცდარი იყო. გუთნის დედა ამხ. ჩალათაშვილი 29 აგვისტოს სამუშაოზე არ გამოცხადებულა, გუთნეულიც გააცდინა. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. სიმონიძვილი). აქ 115 ჰექტარიდან საშემოდგომოდ 16 ჰექტარია მოხნული, აქედან ხარებით—4 ჰექტარი. დღიურ ნორმებს ვერ ასრულებენ გუთნისდედები ს. ნატროშვილი, მ. მოსემღვდლიშვილი და ვ. დევდარიძე.

ბევრ კოლმეურნეობას სრულებით არ დაუწყია საშემოდგომო ხვნა, მაგალითად, სოფელ გურჯაანის ჟდანოვის სახელობის, ურიათუბნის ბერიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობებს.

მთელ რიგ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები უპასუხისმგებლობას იჩენენ თესლის მომზადებაში. სოფელ კალაურის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ჯანიაშვილი) 160 ცენტნერი გაუწმენდავი თესლის ნიმუში წარუდგინა ლაბორატორიას, ურიათუბნის ბერიას სახელობისამ—78,5, გურჯაანის ჟდანოვის სახელობისამ (თავმჯდომარე ალ. ქაჩლიშვილი)—100 ცენტნერი.

საშემოდგომო ხვნა არც კი დაუწყიათ პ. სეფიაშვილის, შ. არჯევნიშვილისა და ა. მამულაშვილის სატრაქტორო ბრიგადებს, თვითეულს კი მოსახნავი აქვს 140-200 ჰექტარამდე.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მიზეზით ხშირია ტრაქტორების მოცდენის შემთხვევა. მეექვსე სატრაქტორო ბრიგადიდან შ. კურნაკოვის ტრაქტორი სოფელ არაშნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 4 დღე გააცდინეს, დ. ბეგაშვილისა კი—5 დღე. ტრაქტორი სოფელ ახაშნის ბერიას სახელობის, სოფელ გურჯაანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფელ ვეჯინის კოლმეურნეობა „კოლექტიურ შრომაში" და ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ვ. ციხისთავი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მოვამზადოთ პირობები მომავალ წელს უხვი მოსავლის მისაღებად

მტს-ის 14 ტრაქტორი მუშაობს საშემოდგომო ხვნასა და ანეულის გადახვნაზე ახმეტის რაიონში. თვითეული სატრაქტორო ბრიგადა, თვითეული ტრაქტორისტი იცნობს ხვნა-თესვის დავალებას. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მტს-მა იკისრა გეგმით გათვალისწინებული 2.600 ჰექტარის ნაცვლად საშემოდგომოდ მოხნას 3.000 ჰექტარი. ტრაქტორისტები დ. ბახუტაშვილი, პ. მეზვრიშვილი, ს. ყაზაროვი დღეში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4,7 ჰექტარისა, ხნავენ 5-6 ჰექტარს თვითეული. კარგად მუშაობს სოფელ მატნის კოლმეურნეობებში მომუშავე მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. მამუკელაშვილი), რომელმაც უკვე მოხნა 88 ჰექტარი. ახლად დაწინაურებულმა ბრიგადირმა შ. ბლიაძემ 8 დღეში 50 ჰექტარი მოხნა. „ნატის" მარკის ტრაქტორით იგი დღიურად 6-7 ჰექტარს ხნავს. მაგრამ ყველა ტრაქტორისტი როდი ასრულებს ხვნის გეგმას. ტრაქტორისტმა ამხ. ჭიჭიაშვილმა 8 დღეში 20 ჰექტარი მოხნა, ხარისხს არ იცავს, მოხნულ ფართობში ხშირია ხარვეზები, მოუწყობელია ტრაქტორის გუთნები. ეს ფაქტი კარგად ცნობილია კოლმეურნეობისა და მტს-ის ხელმძღვანელებისათვის, მაგრამ ისინი რატომღაც ზომებს არ იღებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ზემო ალვანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში უხეშად ირღვევა შრომის დისციპლინა, კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი სისტემატურად არ გამოდის სამუშაოზე. ამიტომაც აქ წლების განმავლობაში დაბალ მოსავალს იღებენ. გაბერილია ადმინისტრაციული აპარატი. მის შენახვაზე წელიწადში 7.348 შრომადღე იხარჯება.

რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების შტატი დღემდე დაუკომპლექტებელია. არა ჰყავთ მეხილეობა-მებაღეობის დარგის აგრონომი, აკლიათ 2 ზოოტექნიკოსი, 1 აგრომელიორატორი, ინსტრუქტორ ბუხჰალტერი. სპეციალისტებს აქ ნაკლებად ეხმარებიან. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტებს ტრანსპორტის ხარჯები უნდა აუნაზღაურდეთ, რაიფინგანის მუშაობის დაუდევრობით ისინი ამ თანხას დღემდე ვერ იღებენ.

* * *

თელავის მტს-მა ანეულის ხვნის გეგმა 116 ჰექტარით გადააჭარბა. საშემოდგომო ხვნაზე ტრაქტორები მასობრივად გავიდნენ. მაგრამ ტრაქტორების სრული დატვირთვით მუშაობა ზოგან უზრუნველყოფილი არ არის. ნაფარეულის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში ორ დღეში 2 ტრაქტორი გაცდა იმის გამო, რომ საწვავის გადმოსაზიდად კოლმეურნეობამ ტრანსპორტი არ გამოჰყო. ტრაქტორებს წყლითაც არ ამარაგებენ, ნაკვეთების გასუფთავებისათვის თავს არ იწუხებენ.

ნაფარეულის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში წლების განმავლობაში შრომადღეზე მარცვლეული არ განაწილებულა. წელს 200 ჰექტარზე მხოლოდ 98 ტონა პურეული მიიღეს. სათესლე მასალა დღემდე არ აქვთ შემოწმებული. თესლი სხვა კოლმეურნეობებსაც აკლია.

ზოგ კოლმეურნეობაში აგროწესებს არ იცავენ. მაგალითად, კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთებში ბევრი მოუხნავი ადგილია დატოვებული. შალაურის კოლმეურნეობაში ნაკვეთები არ გაუწმენდიათ და ამის გამო ტრაქტორების მუშაობა ბრკოლდება.

თელავის რაიონში საშემოდგომო ხვნის ტემპი არასაკმაოა. ახლა ხვნის საუკეთესო დროა, მაგრამ ბევრგან არ ჩქარობენ. ეს ითქმის უწინარეს ყოვლისა აკურის, ქვემო ხოდაშნის, კონდოლის, ჩალაურის კოლმეურნეობებზე.

საჭიროა ამ ფაქტებიდან სერიოზული დასკვნების გაკეთება. თელავისა და ახმეტის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ახლავე უნდა მიიღონ ზომები კოლმეურნეობების თესლეულით უზრუნველსაყოფად, არსებული თესლის გასაწმენდად, საშემოდგომო ხვნის ტემპის გასაძლიერებლად, რომ წელს თესვა მაღალ დონეზე ჩავატაროთ.

ნ. ჯანჯღავა
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულება

ქობულეთის რაიონი

ქობულეთის რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 1947 წლის გეგმა 10 სექტემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 4.906.000 კილოგრამი ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.897.000 კილოგრამისა. მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 93,4 პროცენტი.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

ზუგდიდის რაიონი

10 სექტემბრისათვის ზუგდიდის რაიონმა 100,1 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 3.777 ტონა ჩაი. მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 92 პროცენტი.

რაიონის მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება გეგმის გადამეტებით მოჰკრიფონ 400 ტონა ჩაის ფოთოლი.

კომუნიზმის კეთილშობილი რაინდი

შესრულდა 70 წელი ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი შესანიშნავი მოღვაწის, ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, კომუნიზმის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლის ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკის დაბადებიდან.

ფელიქს ედმუნდის-ძე დაიბადა 1877 წელს ლიტვაში, პოლონელი ინტელიგენტის ოჯახში. 17 წლის ჭაბუკი, რომელიც ვილნოს VI გიმნაზიაში სწავლობდა, შევიდა თვითგანვითარების მარქსისტულ წრეში, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1895 წელს — ლიტვის სოციალ-დემოკრატიის რიგებში. მას შემდეგ ძერჟინსკიმ მთელი თავისი სიცოცხლე მიახმარა მუშათა კლასსა და მის რევოლუციურ ბრძოლას. ჯერ კიდევ 1898 წელს ვიატკაში გადასახლებული ძერჟინსკი სწერდა: „ჩემი ბრძოლის ზღვარი შეიძლება მხოლოდ სამარე იქნესო". საპატიმროში, ციმბირს გადასახლებაში, არალეგალობასა და სახელმწიფო საზღვრებს იქით, ყველგან და ყოველთვის ძერჟინსკი რევოლუციისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყო. იგი იყო პოლონეთისა და ლიტვის პროლეტარული პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში იგი იყო პოლონეთის რევოლუციური პროლეტარიატის საყვარლესი ბელადი.

ძერჟინსკი იყო თანმიმდევრული ინტერნაციონალისტი, რუსეთის ყველა ეროვნების მუშების ერთიან პროლეტარულ რევოლუციურ პარტიაში გაერთიანების მომხრე. თავისი მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე იგი ებრძოდა ოპორტუნისტებს, რომლებიც მუშათა რიგებს ნაციონალიზმის შხამით სწამლავდნენ, და პოლონელ, ლიტველ და ებრაელ მუშებს რაზმავდა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მეფის ხელისუფალნი ძერჟინსკის საშიშ მტერს ხედავდნენ. იგი ექვსჯერ იყო დაპატიმრებული, 11 წელი — თავისი სიცოცხლის თითქმის მეოთხედი — გაატარა საპატიმროებში, კატორღასა და გადასახლებაში; სამჯერ მოაწყო თავგანწირული გაქცევა.

ყოველთვის, როცა კი საპატიმროდან თავის დაღწევას მოახერხებდა, იგი დაუყოვნებლივ უბრუნდებოდა რევოლუციურ მუშაობას.

პარტიის VI ყრილობამ ძერჟინსკი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩია. შემდეგში მას მუდამ ირჩევდნენ ცენტრალურ კომიტეტში. ოქტომბრის შტურმის წინ ცენტრალურმა კომიტეტმა იგი შეიყვანა აჯანყების ხელმძღვანელ პარტიულ ცენტრში, რომელსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობდა.

ძერჟინსკი იყო პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე და, მუშაობდა რა ლენინისა და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, მოაწყო ფოსტისა და ტელეგრაფის ხელში ჩაგდება. იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე პეტროგრადის მთელ რიგ რაიონებში აჯანყების მომზადებას. „ოქტომბრის გმირი" —ასე უწოდა ძერჟინსკის ამხანაგმა სტალინმა.

1917 წლის დეკემბერში პარტიამ ძერჟინსკი დააყენა კონტრრევოლუციის, საბოტაჟისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ძნელ პოსტზე. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის, ხოლო შემდეგ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის პოსტზე ძერჟინსკი შეუცვლელად და თავდადებით მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. იგი იყო მუშათა კლასის ფხიზელი თვალი, რომელიც დაუღალავად და გამჭრიახად ადევნებდა თვალყურს მტრების ყოველგვარ ოინებს. მისი ხელმძღვანელობით აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა მრავალი კონტრრევოლუციური შეთქმულება და აჯანყება, რომლებიც მოწყობილი იყო ხალხის მტრების მიერ უცხოეთის დაზვერვათა აქტიური მხარდაჭერით. „ბურჟუაზიამ არ იცოდა უფრო საძულველი სახელი, ვიდრე სახელი ძერჟინსკისა, რომელიც ფოლადის ხელით იგერიებდა პროლეტარული რევოლუციის მტრების დარტყმებს. რისხვა ბურჟუაზიისათვის — აი რა იყო ფელიქს ძერჟინსკი". (სტალინი).

კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ძერჟინსკი ძალებს იძენდა



ხალხთან განუყრელ კავშირში, მშრომელი მასების მხარდაჭერასა და დახმარებაში.

როცა სამოქალაქო ომი დამთავრდა, პარტიამ და მთავრობამ ფელიქს ედმუნდის-ძე წამოაყენეს გზათა სახალხო კომისრის პოსტზე. ჩვენი ტრანსპორტი მაშინ სავსებით დანგრეული იყო, რაც აფერხებდა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას. ძერჟინსკის არავითარი გამოცდილება არა ჰქონია სამეურნეო მუშაობაში, მაგრამ მის ბუნებას არ სჩვეოდა სიძნელეთა წინაშე შეჩერება. მთელი თავისი რევოლუციური მგზნებარებით და ენერგიით შეუდგა იგი ახალ საქმეს, თავისი ენთუზიაზმით აღაფრთოვანა მუშები, მოსამსახურეები და პატიოსანი სპეციალისტები და მალე მოიპოვა უდიდესი წარმატებანი.

1924 წლის თებერვალში ძერჟინსკი იკავებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტს; ეს ორგანიზაცია მაშინ მთელ საბჭოთა მრეწველობას აერთიანებდა. ჩვენს მრეწველობას მაშინ ჯერ კიდევ ვერ მიეღწია ომამდელი დონის ნახევრისათვის. ამასთან მრეწველობის სოციალისტურ მშენებლობას აფერხებდა ბურჟუაზიის საძულველი აგენტების—ტროცკისტების ძირგამომთხრელი მუშაობა.

ძერჟინსკის არ შეუწყვეტია დაძაბული მუშაობა გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოში და ამავე დროს უნარიანად ხელმძღვანელობდა მრეწველობას. იგი შეუსვენებლად მუშაობდა. მისი ენთუზიაზმი და დაუშრეტელი ენერგია ედებოდა ყველას, ვისთანაც კი მუშაობდა. იგი სამეურნეო მუშაკებს უჩვენებდა ბოლშევიკური ოპერატიულობის მაგალითს, ასწავლიდა მათ ცალკეული პრაქტიკული საკითხების დაკავშირებას პარტიის პოლიტიკის ძირითად საკითხებთან.

ძერჟინსკი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა მეცნიერებისა და ტექნიკის მნიშვნელობას ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაში. მან მოაწყო რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, აქეზებდა ჩვენი საქმის ერთგულ ძველი სკოლის დიდ სპეციალისტებს, მოუწოდებდა კომუნისტებს დაუფლებოდნენ ეკონომიურ და ტექნიკურ ცოდნას, ზრუნავდა ახალგაზრდა სამეურნეო და ტექნიკური კადრების მომზადებისათვის. ძერჟინსკი ეხმარებოდა მუშა-გამომგონებლებს, ცდილობდა, რომ მუშებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ წარმოების რაციონალიზაციაში. იგი სამეურნეო მუშაკებისაგან მოითხოვდა, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საწარმოო თათბირების მუშაობაში, ცოცხალი კავშირი ჰქონოდათ მუშებთან, ყური დაეგდოთ მასების ხმისათვის.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ძერჟინსკის მუშაობის ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, პარტიისა და ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ჩვენმა მრეწველობამ ომამდელ დონეს მიაღწია. შეიქმნა პირობები გენერალური ამოცანის — ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ამოცანის გადასაჭრელად.

ძერჟინსკიმ ცოტა შრომა როდი მოანდომა წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებას. იგი პირადადაც მონაწილეობდა წითელი არმიის ოპერაციებში სამოქალაქო ომის დროს: 1919 წლის დამდეგს ამხანაგ სტალინთან ერთად კოლჩაკის ფრონტზე და 1920 წელს როგორც სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის ზურგის უფროსი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, სახალხო მეურნეობის მშენებლობაში თავისი ძირითადი მუშაობით გართული, იგი ყოველივეს აკეთებდა იმისათვის, რათა გაეძლიერებინა სამხედრო მრეწველობა, რომელიც მაშინ რევოლუციური სამხედრო საბჭოს გამგებლობაში იმყოფებოდა, ხოლო სიკვდილამდე ცოტა ხნის წინ ძერჟინსკიმ უშუალოდ მოჰკიდა ხელი საბჭოთა კავშირის თავდაცვის საკითხებს.

ძერჟინსკი იყო ლენინურ-სტალინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწის ნიმუში, კომუნისტის საუკეთესო თვისებათა განმასახიერებელი. ღრმად პრინციპული, დისციპლინიანი, მოკრძალებული, კომუნიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგული, იგი განირჩეოდა განსაკუთრებული სულიერი სიფაქიზით, პირადი მამაცობით, სიმართლით, კეთილშობილებით. სოციალისტური რევოლუციის მტრებისადმი მკაცრი და ულმობელი, იგი არაჩვეულებრივად გულისხმიერი იყო ამხანაგებისადმი, მშრომელთა საჭიროებისადმი.

მას განსაკუთრებით ძლიერ ჰქონდა განვითარებული პარტიული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა არა მარტო პირადად მისთვის ჩაბარებული საქმისათვის, არამედ მთელი სოციალისტური სახელმწიფოს ბედისათვის. ამიტომ იგი თვითონაც კისრულობდა და პარტიაც ანდობდა უაღრესად მძიმე და პასუხსაგები ამოცანების გადაჭრას.

სადაც საჭირო იყო გარღვევის ლიკვიდაცია, საგანგებო ღონისძიებათა მიღება, პარტია იქ გზავნიდა ძერჟინსკის. ძერჟინსკი ყოველთვის იყო განსახიერება ბოლშევიკური მომთხოვნელობისა საკუთარი თავისადმი და თავისი ხელქვეითებისადმი. იგი ამათრახებდა ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას. მაგრამ იმავე გამბედაობითა და პირდაპირობით იგი ამჟღავნებდა და ასწორებდა ნაკლოვანებებს თავის საკუთარ მუშაობაშიც. კრიტიკა და თვითკრიტიკა სჩვეოდა ფელიქს ედმუნდის-ძის რევოლუციურ ბუნებას, რომელიც არასოდეს არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით და მუდამ წინ იხედებოდა.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სტალინურ პოლიტიკას, რომელმაც უზრუნველჰყო ჩვენი სამშობლოს გამარჯვება დიდი სამამულო ომის წლებში, გააფთრებით ეხმოდნენ თავს ხალხის მტრები ტროცკისტ-ზინოვიეველთა ხროვიდან. შემდეგში გამოაშკარავებული ეს ჯაშუშები და მავნებლები ოსტატურად ნიღბავდნენ თავიანთ გამცემლობას და სტალინურ გეგმას უპირისპირებდნენ თავიანთ გეგმას, რომელიც ნიშნავდა იმპერიალიზმის კოლონიად სსრ კავშირის გადაქცევას. ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლი ძერჟინსკი მისთვის ჩვეული მგზნებარებით დაესხა თავს ტროცკისტებსა და ზინოვიეველებს. მკვეთრი რევოლუციური ალღოს, მაღალი რევოლუციური სიფხიზლის მქონე ძერჟინსკიმ პარტიის მტრები სამარცხვინო ბოძზე გააკრა როგორც პორაჟენცები და კაპიტულანტები.

ძერჟინსკი ცოცხლობდა პარტიის ინტერესებით და პარტიისათვის. პარტიის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლა მისი ორგანული მოთხოვნილება იყო. 1926 წლის 20 ივლისს, — თავისი უეცრად გარდაცვალების სამი საათის წინ იგი მგზნებარე სიტყვით ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იცავდა სტალინურ პოლიტიკას და პარტიის ერთიანობას ტროცკისტ-ზინოვიეველ გამცემთა თავდასხმისა და ცილისწამებისაგან.

ამხანაგი სტალინი იმ დღეებში სწერდა: „როდესაც ახლა, თავლია კუბოსთან, იგონებ ძერჟინსკის მიერ გავლილ მთელ გზას — საპატიმროებს, კატორღას, გადასახლებას, კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლ საგანგებო კომისიას, დანგრეული ტრანსპორტის აღდგენას, ახალგაზრდა სოციალისტური მრეწველობის მშენებლობას, — გინდა ერთი სიტყვით დაახასიათო მთელი ეს მჩქეფარე სიცოცხლე: წვა. წვა და გაუტეხელი მამაცობა სიძნელეთა წინააღმდეგ ბრძოლაში".

საბჭოთა ხალხი, სძლევს რა მრავალ სიძნელეს, ამჟამად იბრძვის სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის. კომუნიზმის რაინდის — ფელიქს ძერჟინსკის სახე ყველა ჩვენგანისთვის წარმოადგენს აღმაფრთოვანებელ მაგალითს და იგი მუდამ აღაგზნებს მასების გულში ახალ ძალებს კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ს. ძერჟინსკაია

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი

(40 წელი ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობიდან)

აკაკი წერეთელმა ნიკოლოზ ბარათაშვილს ახალი ქართული ლიტერატურის დამწყები უწოდა, ილია ჭავჭავაძე კი ბარათაშვილის დიდ მემკვიდრედ გამოაცხადა. ეს მოსაზრება ლიტერატურის ისტორიამ გაიზიარა. ილია ჭავჭავაძემ ათეული წლების მანძილზე ატარა ის დიდი ეროვნული დროშა, რომელიც პირველად „ბედი ქართლისა“ ავტორმა აღმართა. ილია ჭავჭავაძემ ნიკოლოზ ბარათაშვილი მიიღო, როგორც სახელოვანი სულიერი წინამორბედი; მაგრამ ილიას დროს ეროვნული განთავისუფლების საკითხები სრულიად სხვაგვარად ისმებოდა, ვიდრე რომანტიკოსების ეპოქაში. ილია ჭავჭავაძემ პირველმა შენიშნა და განჭვრიტა ეს ახალი გზა. ახალი თაობის მოწოდებად გაისმოდა ილიას მგზნებარე სიტყვები:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე
დარდი,
ჩვენ უნდა ვზრდიოთ ახლა სხვა
ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

ილია ჭავჭავაძე რწმენით შეჰყურებდა მომავალს. მას სწამდა, რომ „აწმყო თუ არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია“, მომავლის ამ იმედს ნერგავდა იგი თავის ხალხში.

ილია ჭავჭავაძე იყო დიდი რეალისტი და პატრიოტი. უსაზღვრო იყო მისი სიყვარული დედა-სამშობლოსადმი. თავის ქვეყანას დასტრიალებდა მუდამ ჟამს მწერლის ფიქრი და გონება. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება იყო ბრძოლა სამშობლოს აღორძინებისათვის. მას განუყრელად თან სდევდა და არ ასვენებდა კითხვა:

„მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

კითხვის ამგვარად დაყენებაში იმედიც იყო და სევდაც, — ნუგეშიცა და ტკივილიც. მწერალი მღელვარედ განიცდიდა საქართველოს ტრაგიკულ ბედს, ასევე მღელვარებითა და იმედით შეჰყურებდა თავისი ქვეყნის მომავალს. ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ სამშობლოს განთავისუფლება, მამულის აყვავება არ მოხდება უბრძოლველად, ეს საქმე მსხვერპლს მოითხოვს. ესმოდა რა ეს, იგი თავის თავს არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა და სხვებისაგანაც მოითხოვდა თავდადებას მამულისათვის. ილია ჭავჭავაძემ დიდების შარავანდედით შემოსა სამშობლოსათვის თავდადებული გმირები, ხოტბა უძღვნა მგზნებარე პატრიოტებს, რომელთა საარაკო მამაცობის, გულადობისა და თავდადების წყალობით საქართველომ საუკუნეების მანძილზე დაიცვა თავისი ეროვნული არსება და დამოუკიდებლობა. პატრიოტ გმირებზე სთქვა დიდმა პოეტმა:

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.

* * *

ილია ჭავჭავაძე დაიბადა ყვარელში 1837 წელს, 27 ოქტომბერს. მამამისი გრიგოლ პაატას-ძე ჭავჭავაძე სამხედრო პირი იყო, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი. თავისი დედის მარიამ ბებურიშვილის ქალის შესახებ ილია შენიშნავს: „მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა, ბევრი ზეპირად ჰქონდა დასწავლილი ძველებური მოთხრობა, რომანი თუ ლექსი. საღამოობით დაგვსხავდა დედა შვილებს და გვიკითხავდა ამ მოთხრობებსა და ამბებს.

შინ წერა-კითხვა ნასწავლი 8 წლის ილია სოფლის მთავრის შინაურ სკოლაში მიუბარებიათ. ამ სკოლისა და მთავრის შესახებ ილია თავის ავტობიოგრაფიაში სწერს „იმის უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ მომხიბლავი თქმა იცოდა ამბების. გვიამბობდა მდაბიურად ბავშვებისათვის ადვილი გასაგები ენით, უფრო სამღვთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებს“. ილიაზე წაუშლელი კვალი დაუტოვებია მთავრის მონათხრობს. თუ ილიას დავუჯერებთ „დიმიტრი თავდადებულისა“ და „გლახის ნაამბობის“ თემად მას გამოუყენებია ამ მთავრის მონათხრობი ამბები.

1848 წელს ილია მამამ თბილისში წაიყვანა და აქ იანიშევსკისა და ჰაკ... კერძო პანსიონში მიაბარა. ილია პანსიონში თითქმის 7 წელიწადს სწავლობდა. აქედან ის თბილისის გიმნაზიის მეოთხე კურსზე მიუღიათ. გიმნაზია დაასრულა 1856 წელს. 11 წლის ილიას დედა გარდაეცვალა, 16 წლისას მამა. ამან დიდი გავლენა მოახდინა ილიას ცხოვრებაზე. დედის გარდაცვალების შემდეგ ილიას აღზრდას მამიდა მაკრინე მეთვალყურეობდა.

1857 წელს ილია გაემგზავრა პეტერბურგს. აქ იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. სტუდენტობის პერიოდში ილია გატაცებული იყო მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით, ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით. ერთხელ ილიამ იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის გარიბალდის რაზმში ჩაწერაც კი განიზრახა.

1861 წელს ილია პეტერბურგიდან საქართველოში ბრუნდება. 1863 წელს ილია ირთავს ოლღა გურამიშვილს. 1864 წელს ილია ინიშნება ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ. ილიას აქ დავალებული აქვს მებატონეებისა და გლეხების ურთიერთობის გარკვევა.



1868 წლიდან 1874 წლამდე ილია დუშეთში მუშაობს მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე. 1874 წელს იგი თბილისში ბრუნდება და ბანკის დაარსებას ხელმძღვანელობს. 1875 წლიდან 1905 წლამდე ილია ბანკის უცვლელი თავმჯდომარეა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ილია ჭავჭავაძე ხდება ინიციატორი და მეთაური ყოველი ქართული კულტურულ-საზოგადოებრივი წამოწყებებისა. ილიას ინიციატივით დაარსდა 1873 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ თვითონ იგი აირჩიეს და სიკვდილამდე ეს პოსტი ეკავა. ამავე საზოგადოებას ანდერძით უბოძა თავისი სიკვდილის შემდეგ მთელი მისი ქონება. 1881 წელს ილიას უშუალო ინიციატივით დაარსდა ქართული დრამატული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ ერთხანს თვითონ იყო. 1877 წლიდან ილია იყო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, 1877 წლიდან 1902 წლამდე „ივერიის“ რედაქტორი. 1906 წელს რუსეთის თავადაზნაურთა ყრილობაზე ილია ჭავჭავაძე არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. ილია იყო პირველი ქართველი წევრი სახელმწიფო საბჭოსი. ის ამბობდა: „არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მე მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემ ძალ-ღონეს“. ილია ჭავჭავაძემ კიდეც შეასრულა ეს დაპირება, იგი სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთა მცირე ჯგუფს მიემხრო.

ილია ჭავჭავაძე იყო არა მარტო დიდი მწერალი მე-19 საუკუნისა, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწე, ქართული კულტურის ხელმძღვანელი და მეთაური. მეფის თვითმპყრობელობის აგენტებს ეს გარემოება არ გამოპარვიათ. თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს 1894 წლის ერთ საიდუმლო მოხსენებაში ვკითხულობთ: „სემინარიის ამბოხებაში არა მცირედი წვლილი უდევს თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის მასწავლებლებს (არსებობს განსაკუთრებით ქართველებისათვის). დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე (ამ ბანკის სახსრებით ინახება აღნიშნული სათავადაზნაურო სკოლა და აგრეთვე იგი რედაქტორია ქართული გაზეთის „ივერიისა“). თავადი ილია ჭავჭავაძე არის შესანიშნავი ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფალ მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დროგამოშვებით იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათისა და სოციალურ საკითხებს“.

სწორედ ამიტომ ცარიზმის აგენტებმა ილია ჭავჭავაძე ვერაგულად მოჰკლეს 1907 წლის 12 სექტემბერს. ეს მკვლელობა დიდი კონსპირატიულობით იყო მომზადებული მეფის ოხრანკის მიერ.

* * *

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება მრავალმხრივია. ახალ ქართულ ლიტერატურაში არ არის ისეთი საკითხი, რომელსაც პირველი განმარტება ილიას შემოქმედებაში არ ეპოვნოს, არ არის ისეთი სალიტერატურო დარგი, სადაც ილიას ბრწყინვალე შედეგებისათვის არ მიეღწიოს. მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ილია ტონს აძლევდა ქართულ მხატვრულ ლიტერატურას და აზროვნებას.

რუსეთის მიმართ ნ. ჩერნიშევსკი ამბობდა: „ჯერჯერობით ხალხის თითქმის მთელ გონებრივ მოღვაწეობას ლიტერატურა აერთიანებსო“. ეს აზრი შეიძლება განმეორებულ იქნას მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში გამოიხატა ჩვენი ხალხის ეროვნული, პოლიტიკური თუ სოციალური სულისკვეთება. ილია ჭავჭავაძე, — ამ ლიტერატურის მეთაური, ჩვენი ხალხის მოწინავე განწყობილებისა და აზრის გამომხატველი იყო.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული აზროვნება რუსეთის პროგრესული რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის (ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა) მოღვაწეობის ატმოსფეროში მომწიფდა და ჩამოყალიბდა. ილიას უყვარდა დიდი რუსი ხალხი და მისი მოწინავე ინტელიგენცია, მაგრამ სძულდა მეფის რუსეთი — ეს ხალხთა საპყრობილე, რომელიც აბუჩად იგდებდა და ჩაგრავდა მცირე ერებს.

ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა პროგრესულ-დემოკრატიული იდეები ილია ჭავჭავაძისათვის იყო ერთგვარი სათავე, რომელზეც მან შემდეგ თავისი დამოუკიდებელი, ორიგინალური შეხედულებანი და კონცეფცია შექმნა ხელოვნების, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. პირველსავე თავის საპროგრამო ნაწარმოებში „მგზავრის წერილებში“ ილიამ მთელი კატეგორიულობით დააყენა ეროვნული განთავისუფლების საკითხი—„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო“. ამავე ნაწარმოებში ილია ასაბუთებს მოქმედების, აქტივობის, ბრძოლის იდეას. მოქმედებაში ხედავს მწერალი სიცოცხლის აზრსა და პროგრესის გზას. ეს აზრი ილიამ შესანიშნავად გამოხატა თერგისა და მყინვარის შედარებაში. თერგი ადამიანის გაღვიძებული ცხოვრების, მოქმედების სიმბოლოა, მყინვარი კი უმოქმედობის, სტატიურობის. — „თერგის სახელი ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებაა, ამაღლვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის; იმის მღვრიე წყალში ჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა. მყინვარი კი უკვდავების და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია — როგორც უკვდავება და ჩუმია — როგორც განცხრომა. არა. მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა. მაღლიდამ კი შენობა არსად დაწყებულა. ამიტომაც მე როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს... ნეტავი შენ, თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადექ, თუ მყრალ გუბეთ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზე არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ჩემო თერგო ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“. პროგრესული, დემოკრატიული იდეების განხორციელება, ხალხის ინტერესების დაცვა ილიას წარმოდგენილი ჰქონდა შეუპოვარი ბრძოლის გზით. ამ გზაზე იგი არავითარ დაბრკოლებას არ ერიდებოდა. აი რას სწერდა მწერალი ამის შესახებ: „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავისი ძილითა და სიზმრებით და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვითა, ბრძოლითა და ვაივაგლახით“.

ილია ჭავჭავაძე, გამოდიოდა რა ხალხის ინტერესებიდან, ხელოვნებას უყურებდა „როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებას“. იგი მომხრე იყო ისეთი მხატვრული ლიტერატურისა, რომელიც ხალხს დაეხმარებოდა, რომელიც ხალხთან მჭიდრო კავშირში იქნებოდა, მის ჭირსა და მწუხარებას, სიხარულსა და ალტაცებას გაიზიარებდა. ამიტომ ილიამ პეტერბურგიდან დაბრუნებისთანავე ბრძოლა გამოუცხადა ძველ თაობათა სქოლასტიკურ, დახავსებულ შეხედულებებს, იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში აღორძინებულ სანტიმენტალურ „ოხვრას“. ილია სწერდა: „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს ღრუბლებში ცურვასა, უგემურ ღრეჭას და თვალების სრესას, ეგებ ცრემლი მომივიდესო“. „უსაგნო“ და „უშინაარსო“, ცხოვრებისაგან გამოთიშული ლიტერატურის ნაცვლად ილია მოითხოვდა: „ხელოვნება და ლიტერატურა დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავისი ცხოველის სურათებისათვის“.

ახალი, რეალისტური ლიტერატურისათვის გზის გასაკაფავად, ილია ჭავჭავაძემ ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ შექმნა. „საქართველოს მოამბე“ გახდა სამოციანი წლების დემოკრატიული იდეების დიდი პროპაგანდისტი. ჟურნალმა აღმართა რეალიზმის დროშა. „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა,—სწერდა ამ ჟურნალში ილია, — მისი გამომჟღავნება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“. ძველი თაობის ლიტერატორთა საეკლესიო ენას ილიამ დაუპირდაპირა სასაუბრო, ხალხის ენა. მან და მისმა სკოლამ საბოლოოდ შეარყია საეკლესიო ენის პოზიციები და მოახდინა სალიტერატურო ენის რეფორმა. ლიტერატურის ენად გახდა ხალხის, მასობრივი მკითხველის ენა. „საქართველოს მოამბის“ ერთ-ერთ ნომერში ილია სწერდა: „ჟურნალი ვალდებულია ყველას მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოთ კაცის ჭკუის ძვირფასი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალისათვის მისაწვდომი გახდეს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტას“.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების უძლიერესი მხარე იყო მისი კავშირი ხალხთან, ჭეშმარიტი ხალხურობა. ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო სტატიაში იგი სწერდა: „ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ცხოვრება თვით რჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზე; რომ თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავისთავად ახლდება და ყვავის; რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არის მოგონილნი კაცის ჭკუისა და გამოხატულების არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარების გამო და მერე თავის რიგზე თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება; რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცხოვრებაში და დამტკიცებული, იგი გადადის ხალხში და იგი ცვლის ხალხის მდგომარეობას და ცხოვრებას“.

ასე ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძემ ხელოვნების დანიშნულება. ამ განსაზღვრას ჩვენი დროისათვისაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ილია მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ამ პროგრესული შეხედულებით ხელმძღვანელობდა.

ილია ჭავჭავაძემ რუსეთისა და საქართველოს მთელ პროგრესულ ინტელიგენციასთან ერთად მკაცრად გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ. მან საჯაროდ შეაჩვენა კაცის ღირსების დამამდაბლებელი, ადამიანობის შემლახავი ბატონყმური ინსტიტუტი, გამოამზეურა მთელი სისაძაგლე და სიდამპლე, რაც ამ ყოფას თან ახლდა. „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ან ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“, და სხვ. იძლევა ბატონყმური წყობილების უარყოფით სურათებს. ილია მწვავედ აყენებს კითხვას: „ვინ შრომობს და ვინ ძღება, სად არის აქ სამართალი“. ილიას გმირებმა კარგად იციან, რომ „ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდი არ გაიდება“, რომ „თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს“. ილიას გმირები შეუპოვრად იბრძვიან ამ უვარგისი სოციალური სისტემის წინააღმდეგ. კაკო, ზაქრო, გაბრო, ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანების კლასიკური სახეებია.

ილია ჭავჭავაძემ თავისი შემოქმედების მთავარ მოწოდებად ეროვნული საკითხის გადაწყვეტა დაისახა. მისი პირველი შემოქმედებითი ტკივილები ეროვნული საკითხით დაიწყო. მთელი მისი მღელვარე ცხოვრება და შემოქმედება ეროვნული საკითხით იყო შთაგონებული. მე-19 საუკუნის დიდი პატრიოტული მწერლობა ილია ჭავჭავაძემ და მისმა სკოლამ შექმნა. ილიას „მგზავრის წერილები“, „დიმიტრი თავდადებული“, „ქართლის დედა“ და სხვა ლირიკული ლექსები თუ პუბლიცისტური წერილები ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების მძლავრი პროპაგანდა იყო.

ილია ჭავჭავაძე, მიუხედავად მისი კლასობრივი განსაზღვრულობისა, იყო არა მარტო გამომხატველი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისა, მისი მისწრაფებებისა და განწყობილებისა, არამედ ამ შეგნებისა და ამ განწყობილების აღმზრდელიც. ილიას პატრიოტული პოეზია, ილიას პროგრესული სოციალური მოთხრობები და პოემები ზრდიდა ქართველ ხალხს სამშობლოს მხურვალე სიყვარულისა და მისი უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის შეგნებით. ეს არის ილიას დიდი და ჭეშმარიტი დამსახურება.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის, მისი ღვაწლის ნამდვილი დაფასება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა. საქართველო, რომლის აყვავებისათვის ბრძოლასაც შესწირა მთელი სიცოცხლე ილია ჭავჭავაძემ, დღეს დიდი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე სოციალისტური რესპუბლიკაა. ბედნიერი ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით იხსენიებს თავის დიდ შვილს — ილია ჭავჭავაძეს, რომლის ვერაგული მკვლელობიდან დღეს 40 წელი შესრულდა.

ს. ჭილაია

პროპაგანდისტის დასახმარებლად

კორნილოვის ამბოხების განადგურება

ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობაზე დიდმა სტალინმა მოგვცა ქვეყნის მაშინდელი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების გენიალური ანალიზი. დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ გეზი აიღო შეიარაღებული აჯანყებისაკენ. თავის მანიფესტში VI ყრილობა მოუწოდებდა მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს მომზადებულიყვნენ ბურჟუაზიაზე გადამწყვეტი შეტევისათვის. მხოლოდ ამ გზით შეეძლო ქვეყანას თავი დაეღწია სამეურნეო ნგრევისაგან.

1917 წლის ივლისის დღეების შემდეგ ბურჟუაზია აძლიერებდა შეტევას რევოლუციური ძალების, ბოლშევიკების, საბჭოების წინააღმდეგ, ემზადებოდა აშკარა კონტრრევოლუციური დიქტატურისათვის. გენერალმა კორნილოვმა, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა ფრონტზე ჯარისკაცებს, მოითხოვა სიკვდილით დასჯის შემოღება ზურგშიც. მთავარსარდლის ბანაკში მიდიოდნენ მრეწველები, მემამულეები, ბანკირები, უცხოელ იმპერიალისტთა წარმომადგენლები და თხოვდნენ კორნილოვს არ დაეყოვნებინა რევოლუციის წინააღმდეგ გამოსვლა. კორნილოვი შეთქმულებას ამზადებდა.

1917 წლის 12 (25) აგვისტოს მოსკოვში შეიკრიბა სახელმწიფო თათბირი მემამულეების, მრეწველების, ძველი გენერლების მონაწილეობით. ისინი მოითხოვდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ალაგმვას, რევოლუციურ მონაპოვართა დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას. საბჭოები თათბირზე წარმოდგენილნი იყვნენ ესერებითა და მენშევიკებით. კონტრრევოლუციური თათბირის მონაწილენი ზეიმით შეხვდნენ კორნილოვის გამოჩენას. მიღებულ იქნა კორნილოვის პროგრამა, რომელიც მოითხოვდა სიკვდილით დასჯის შემოღებას, კრებების, მიტინგების აკრძალვას, საბჭოების გაუქმებას და სხვ. კორნილოვის ეს პროგრამა შეთანხმებული იყო დროებითი მთავრობის მეთაურთან—კერენსკისთან. მაგრამ შემდეგ კერენსკი შეშინდა. მან გაითვალისწინა, რომ რევოლუციური მოძრაობის ტალღა წალეკავდა კონტრრევოლუციურ შეთქმულებასაც და მის მთავრობასაც და ამიტომ გაემიჯნა თავის მოკავშირეს — კორნილოვს.

ლენინმა სახელმწიფო თათბირს „კონტრრევოლუციური, იმპერიალისტური თათბირი“ უწოდა. ამხანაგი სტალინი მოუწოდებდა ბოლშევიკებს დაერაზმათ მუშები და ჯარისკაცები კორნილოვშჩინის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამავე დროს არ შეენელებინათ ბრძოლა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის, ესერებისა და მენშევიკების წინააღმდეგ, გამოემჟღავნებინათ მათი გამცემლური პოლიტიკა, მათი კავშირი კონტრრევოლუციონერ შეთქმულებთან. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ მთავრობასა და კორნილოვს შორის ბრძოლა არ წარმოადგენს რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის წარმოებულ ბრძოლას, არამედ მთავრობის პოლიტიკა და კორნილოვშჩინა კონტრრევოლუციური პოლიტიკის ორი სხვადასხვა ფორმაა.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით, სახელმწიფო თათბირის დღეს მოსკოვში გაიფიცა 400 ათასზე მეტი მუშა, რომელთაც სხვა ქალაქების მუშებიც გამოეხმაურნენ. კორნილოვმა ქალაქი რიგა გადასცა გერმანელებს და ამით მათ ჯარებს გზა გაუხსნა რევოლუციური პეტროგრადისაკენ. რეაქციული გაზეთები ფართოდ ავრცელებდნენ ჭორებს — რევოლუციის ნახევარი წლისთავისათვის ბოლშევიკები სადემონსტრაციოდ ემზადებიანო. ნამდვილად კი, თვითონ შეიმუშავეს პროვოკაციული გეგმა და სურდათ „აჯანყების“ ჩაქრობის საბაბით გაენადგურებინათ ბოლშევიკები, საბჭოები, ყველა დემოკრატიული ორგანიზაცია და დაემყარებინათ სამხედრო კონტრრევოლუციური დიქტატურა.

27 აგვისტოს (9 სექტემბერი) კორნილოვმა პეტროგრადისაკენ დასძრა რეაქციული ჯარის ნაწილები და რკალში მოაქცია რევოლუციური დედაქალაქი. რევოლუციას საფრთხე ემუქრებოდა.

ბოლშევიკურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დიდი ხანია თვალყურს ადევნებდა კორნილოვის მზადებას და რაზმავდა კონტრრევოლუციის საწინააღმდეგო ძალებს, მოუწოდა მუშებსა და ჯარისკაცებს წინააღმდეგობა გაეწიათ რეაქციული ძალების შემოტევისათვის. საამისოდ პეტროგრადის კომიტეტის სხდომაზე შემუშავებულ იქნა ღონისძიებანი. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სახალხო ბრძოლის კომიტეტი, რომელშიც ბოლშევიკები გადამწყვეტ ძალას წარმოადგენდნენ. მოეწყო მუშათა შეიარაღებული რაზმები. თვალსაჩინოდ გაძლიერდნენ წითელგვარდიელთა რაზმები, საბრძოლველად მზად იყვნენ პეტროგრადის რევოლუციური სამხედრო ნაწილებიც. რამდენიმე ათასი კრონშტადტელი შეიარაღებული მატროსი მოვიდა პეტროგრადის დასაცავად. კორნილოვის „ველურ დივიზიაში“, რომელიც პეტროგრადს უტევდა, ს. მ. კიროვის ინიციატივით გაიგზავნა დელეგატები. მათ მებრძოლთ განუმარტეს კორნილოვშჩინის მიზანი. „ველურმა დივიზიამ“ ბრძოლა შესწყვიტა. აგიტატორები გაიგზავნენ კორნილოვის ჯარის სხვა ნაწილებშიც.

მუშები პეტროგრადის მისადგომებზე აწყობდნენ სანგრებს, მავთულხლართებს. რკინიგზელებმა ლიანდაგი აჰყარეს, რითაც შეაფერხეს კორნილოველთა წინსვლა. საფრთხის ყოველ ადგილზე იქმნებოდა რევკომები და შტაბები. ყველა გრძნობდა, რომ კორნილოვშჩინის განადგურებისათვის ერთადერთ რეალურ ძალას ბოლშევიკების პარტია წარმოადგენდა. მართლაც, ბოლშევიკური პარტიის, ლენინისა და სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით 30 აგვისტოს (12 სექტემბერი) კორნილოვის ამბოხება განადგურებულ იქნა. გენერალმა კრიმოვმა თავი მოიკლა. გენერლები კორნილოვი, დენიკინი და ლუკომსკი დააპატიმრეს. კორნილოვშჩინაზე გამარჯვების მეორე დღეს, 31 აგვისტოს (13 სექტემბერს) პეტროგრადის საბჭომ მხარი დაუჭირა ბოლშევიკებს. საბჭოს ძველი მენშევიკურ-ესერული პრეზიდიუმი ჩხეიძის მეთაურობით გადადგა და ადგილი დაუთმო ბოლშევიკურ პრეზიდიუმს. იგივე მოხდა მოსკოვშიც 5 (18) სექტემბერს.

დაიწყო საბჭოების გამოცოცხლების, ბოლშევიზაციის ხანა. ფაბრიკებში, ქარხნებსა და სამხედრო ნაწილებში შეუდგნენ დეპუტატების გადარჩევას. საბჭოებში ესერებისა და მენშევიკების ნაცვლად ბოლშევიკებს ირჩევდნენ. „კორნილოვშჩინასთან ბრძოლამ გამოაცოცხლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც ის იყო დაუძლურების გზას დაადგნენ, გაათავისუფლა ისინი შეთანხმებლური პოლიტიკის ტყვეობიდან, გამოიყვანა ისინი რევოლუციური ბრძოლის ფართო გზაზე და მოაბრუნა ბოლშევიკური პარტიისაკენ“,—ვკითხულობთ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში. დღის წესრიგში კვლავ დადგა საკითხი — „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“. მაგრამ ახლა ეს გულისხმობდა შეიარაღებული აჯანყების გზით ძალაუფლების აღებას იმ საბჭოების მიერ, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ.

კორნილოვშჩინის განადგურებამ ცხადჰყო რევოლუციის მტრების — ბურჟუაზიის, ესერ-მენშევიკებისა და სხვათა განწირულება, გამოააშკარავა ძალთა თანაფარდობა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის, დაადასტურა, რომ ბოლშევიკების პარტიას ძალა შესწევს გახდეს მმართველი პარტია. დასასრულ, კორნილოვის ამბოხების განადგურებამ დაარწმუნა გლეხობა, რომ ბოლშევიკებს შეუძლიათ იხსნან ქვეყანა ომისაგან და გლეხობა მემამულეებისაგან.

გენიალურად აფასებდა რა კორნილოვშჩინის განადგურების შემდეგ შექმნილ ვითარებას, ლენინი სწერდა: „3-4 ივლისს... 1) ჯერ კიდევ არ იყო ჩვენსკენ ის კლასი, რომელიც რევოლუციის ავანგარდს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ არ გვყავდა უმრავლესობა დედაქალაქების მუშათა და ჯარისკაცთა შორის. ახლა იგი გვყავს ორივე საბჭოში. იგი შექმნილია მხოლოდ ივლისისა და აგვისტოს ისტორიით, ბოლშევიკებთან „ანგარიშის გასწორების“ გამოცდილებით და კორნილოვშჩინის გამოცდილებით.

2) არ იყო მაშინ საყოველთაო-სახალხო რევოლუციური აღმავლობა. ახლა იგი არის კორნილოვშჩინის შემდეგ. პროვინცია და ბევრ ადგილას საბჭოების მიერ ძალაუფლების აღება ადასტურებს ამას“.

კორნილოვშჩინის განადგურების შემდეგ რევოლუციის ძალები უმაგალითო სისწრაფით იზრდებოდნენ და ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ. კორნილოვშჩინის განადგურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების გზაზე.

ე. ხუნდაძე

აფხაზეთი

ევკალიპტი „გიგანტი“

„გიგანტი“ ევკალიპტის ერთ-ერთი სახეა. იგი ძვირფასი და ხასარგებლო მცენარეა. მისი სიმაღლე 70-80 მეტრს აღწევს, დიამეტრი კი—ორ მეტრს. აფხაზეთში ამჟამად სულ 18 ძირი ასეთი ხეა. ევკალიპტის ამ სახის ფართოდ გავრცელების მიზნით წელს ავსტრალიიდან შემოტანილ იქნა 500 გრამი „გიგანტის“ თესლი. იგი ევკალიპტების სოხუმის სახელმწიფო სანერგეში დათესილი. ახლო ხანში კიდევ დაითესება „გიგანტის“ 10 კილოგრამი თესლი. ამ თესლიდან მიღებულ იქნება 100 ათასზე მეტი ძირი სტანდარტული ნერგი.

მომავალი წლის გაზაფხულზე აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად დაირგვება საუკეთესო ჯიშის ევკალიპტი — „გიგანტი“.

სამკურნალო მცენარეთა შეგროვება

ქალაქებისა და სოფლების ახალგაზრდები გულმოდგინედ აგროვებენ სამკურნალო მცენარეებს. გაგრის, სოხუმისა და გალის რაიონებში შეაგროვეს ასობით კილოგრამი ცაცხვის ფოთოლი.

ახალგაზრდების ძალებით შეგროვდება 4 ტონა წალიკა, 500 კილოგრამი ლემა, 300 კილოგრამი სათითურა და 300 კილოგრამი ევკალიპტის ფოთოლი.

გამოხმაურება მოსკოვისადმი ი. ბ. სტალინის მისალმებაზე

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 9 სექტემბერი. (საქდესი). ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთი დღეს თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს ცნობას მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულის შესახებ და გენერალისიმუს სტალინის მისალმების შინაარსს. სათაურებსა და კომენტარებში გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ მოსკოვი მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლ მშრომელთა იმედია.

არგენტინა

ბუენოს-აირესი, 9 სექტემბერი. (საქდესი). არგენტინის გაზეთებმა მოათავსეს ცნობები მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულის შესახებ, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ი. ბ. სტალინის მისალმებას, რომელიც გაზეთებმა „ლა პრენსამ", „ლა ნასიონმა", „ლა კრიტიკამ", „კლარინმა" და „ლა ორამ" მთლიანად გამოაქვეყნეს. დანარჩენებმა მოიყვანეს ამონაწერები მისალმებიდან. გაზეთმა „ლა კრიტიკამ" მისალმება გამოაქვეყნა სათაურით: „სტალინმა მოსკოვს ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის დედაქალაქი უწოდა". გაზეთი „ლა რასონი" ბეჭდავს თანამედროვე მოსკოვის რამდენიმე ფოტოსურათს და ათავსებს მოსკოვისადმი მიძღვნილ დიდ სტატიას.

კანადა

ოტავა, 9 სექტემბერი. (საქდესი). კანადის ყველა რადიოსადგურმა რამდენჯერმე გადასცა ტექსტი ი. ბ. სტალინის მისალმებისა მოსკოვის 800 წლისთავის გამო. ბევრმა გაზეთმა გამოაქვეყნა მისალმება და ხაზი გაუსვა იმ სიტყვებს, რომ მოსკოვი „კაპიტალისტური მონობისაგან მშრომელი კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის" მქადაგებელი და „დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს" დედაქალაქია.

გ. მ. დიმიტროვის მისალმება ბულგარელი ხალხისადმი

სოფია, 10 სექტემბერი. (საქდესი). შვებულებაში მყოფმა ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა გ. მ. დიმიტროვმა მისალმება გამოგზავნა 9 სექტემბრის — ფაშისტური უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლების დღის სახელოვანი წლისთავის გამო.

ჩვენს დიად დღესასწაულს რომ ვზეიმობთ, ნათქვამია მისალმებაში, საჭიროა სიამაყით აღვნიშნოთ ჩვენი ხალხის დიდი მიღწევები უძლეველი სამამულო ფრონტის ხელმძღვანელობით.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ამჟამად ხალხისა და მთავრობის მთავარი ამოცანაა მთელი ძალღონით ბრძოლა ჩვენი სამშობლოს ნაციონალური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საბოლოო განმტკიცებისათვის, იმიტომ რომ უამისოდ ჩვენს ქვეყანას ემუქრება საფრთხე — კვლავ სათამაშო გახდეს უცხოელ იმპერიალისტთა ხელში, ხოლო ხალხს — პოლიტიკური უუფლებობისა და მონური შრომის საფრთხე.

შემდეგ მისალმებაში აღნიშნულია, რომ დროა ყველა მტერმა ბულგარეთში და ბულგარეთის გარეთ შეიგნოს, რომ ბულგარელი ხალხი და სახალხო მართლმსაჯულება მათ არ დაინდობს.

ვერავითარი დაცვა და ვერავითარი მუქარა გარედან, ნათქვამია შემდეგ მისალმებაში, ვერ იხსნის სუვერენული ბულგარეთის მართლმსაჯულების მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ხელისაგან მესაბოტაჟეებს, დივერსანტებსა და გამცემლებს, რომლებიც სამარეს უთხრიან ჩვენს სამშობლოს.

ჩვენ თვალს არ ვარიდებთ სიძნელეებს, რომლების გადალახვაც მოგვიწევს 1944 წლის 9 სექტემბერს დაწყებული დიადი სახალხო შემოქმედებითი საქმის გზაზე. ბულგარელ ხალხს, რომელსაც უწინარეს ყოვლისა საკუთარი ძალების იმედი აქვს, ერთგული მეგობრები ჰყავს მოძმე სლავი ხალხებისა და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის, ჩვენი ორგზის განმათავისუფლებლის, მძლავრი საბჭოთა კავშირის, აგრეთვე სხვა მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ხალხებისა და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის სახით.

თავისი ნათელი მომავლის შეურყეველი რწმენით იწყებს ჩვენი ხალხი, მისი სამამულო ფრონტი და მთავრობა 9 სექტემბრის მეოთხე წელს — კიდევ უფრო შეუპოვარი შრომის, შრომითი, ეკონომიური და სახელმწიფოებრივი დისციპლინის წელს და კიდევ უფრო მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს თავისი ოჯახისა და თავისი ბედის სუვერენული ბატონ-პატრონი იყოს.

ფრანგული პრესა საფრანგეთისადმი ამერიკის „დახმარების" შესახებ

პარიზი, 10 სექტემბერი. (საქდესი). გაზეთი „ლუმანიტე" კომენტარს უკეთებს იმ ამერიკელი პარლამენტარიების მოგზაურობას, რომლებიც ამჟამად დასავლეთ ევროპის ქვეყნებს „იკვლევენ", და სწერს, რომ მარშალის გეგმის მიხედვით „გამომკვლევნი" შეურაცხყოფას აყენებენ საფრანგეთს. „გამომკვლევნი", რომლებიც ამერიკის კონგრესმა ევროპაში გამოგზავნა მარშალის გეგმის გამოყენების პირობების შესასწავლად, მუშაობას შეუდგნენ. ორი მათგანი პარიზში იმყოფება. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელმაც თავისი ვინაობის დასახელება არ ისურვა, განაცხადა: „განცვიფრებული ვარ, როცა ვხედავ, რომ ხალხი დროს ატარებს — მზეზე თბება პარიზისა და სხვა ქალაქების კაფეების ტერასებზე. ეს, რა თქმა უნდა, — განაგრძო მან, — დროის გატარების ძალიან სასიამოვნო საშუალებაა, მაგრამ ეს სრულებითაც არ მოწმობს ნებისყოფასა და გადაწყვეტილებას — შეუპოვრად იმუშაონ ქვეყნის რეკონსტრუქციისათვის". ეს დასკვნა ფრანგი ხალხის შესახებ, სწერს გაზეთი „ლუმანიტე" გაკეთებულია იმ უქნარა ხალხისათვის თვალყურის დევნების საფუძველზე, რომელიც დროს მდიდრულ კაფეებში ატარებს. დასკვნას მხედველობაში არ მიუღია შესანიშნავი ღონისძიებანი საფრანგეთის მშრომელებისა, რომლებმაც მიაღწიეს წარმოების აღმავლობას 25 პროცენტით 1938 წელთან შედარებით. აი როგორია ის სიმპათიები და ლოიალობა, რასაც მარშალის გეგმის ემისრები ჩვენი ქვეყნის მიმართ იჩენენ.

„ამერიკულმა და ინგლისურმა გაზეთებმა, — სწერს შემდეგ გაზეთი „ლუმანიტე", — გუშინ მოიხსენიეს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილი „კონფიდენციური მოხსენება". ამ მოხსენებაში ნათქვამი, რომ დიდი ბრიტანეთი აღარ უნდა იქნას განხილული, როგორც დიდი სახელმწიფო. მოხსენებაში ჩამოთვლილია ევროპის 4 ქვეყანა, რომელთაც მწვავედ ესაჭიროებათ ამერიკის „დახმარება" იმისათვის, რომ „დაამარცხონ კომუნიზმი თავიანთ ქვეყნებში". ამ ქვეყნებს შორის საფრანგეთი და ინგლისიც არიან.

გაზეთი „ლიბერასიონი" ეხება საფრანგეთისათვის ამერიკის „დახმარების" მიცემის საკითხს და სწერს: „ვაშინგტონმა პარიზისა და ლონდონის მთავრობებს აცნობა, რომ მათი ქვეყნების შინაგანი ღონისძიებანი საკმარისი არ არის". ამერიკელი ექსპერტები, განაგრძობს გაზეთი, წინადადებას აძლევენ ეკონომიური და საფინანსო საკითხების ჩვენს სპეციალისტებს და ჩვენს პასუხისმგებელ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს მიიღონ პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის მთელი რიგი სასწრაფო ზომები. კერძოდ, გაზეთის სიტყვით, ამერიკელი ექსპერტები წინადადებას იძლევიან „გატარდეს საგადასახადო სისტემის რეფორმა. ფრანგების შემდეგ ამერიკელები, რომლებიც ყურადღებით სწავლობენ ჩვენი საქმიანობის ყველა უბანს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გლეხები გადასახადთა დარგში ისეთი შეღავათებით სარგებლობენ, როგორიც არცერთ ფერმერს არა აქვს ატლანტის ოკეანეს გაღმა".

როგორც შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, ამერიკელები წინადადებას იძლევიან საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობაში მიწვეულ იქნან ომამდელი პერიოდის პოლიტიკური მოღვაწეები.

„მოლაპარაკების დროს, — დასკვნის გაზეთი, — გამოირკვა, რომ ჩვენს მინისტრებს, სამწუხაროდ, „გამოცდილება აკლიათ". ამიტომ, რასაკვირველია, მათი დასახელება".

საბერძნეთის ახალი პრემიერის საპროგრამო სიტყვა

ათენი, 9 სექტემბერი. (საქდესი). პრემიერ-მინისტრმა სოფულისმა ახალი კოალიციური მთავრობის სახელით პარლამენტში საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა. იგი ამართლებდა ორპარტიული მთავრობის შექმნას და განაცხადა: „ჩვენი რასის სულიერი, მორალური და ბიოლოგიური საფუძველი საფრთხეშია", საბერძნეთის ხსნა ერთპარტიულ მთავრობას არ შეუძლია და ამან საჭირო გახადა თანამშრომლობა ორი პარტიისა, რომელთა შორის მუდამ მტრული განწყობილება იყო.

სოფულისი შეეხო საშინაო პოლიტიკას და განაცხადა, რომ მისი მთავრობის პირველი მიზანია „ქვეყნის დამშვიდება". სახელმწიფო, სთქვა მან, მოვალეა ებრძოლოს შეიარაღებულ პარტიზანულ მოძრაობას და ჩაახშოს იგი ყველა შესაძლო საშუალებით. სოფულისმა შემდეგ განაცხადა, რომ მთავრობა ამასთან ერთად ეცდება ამ მიზნით მიაღწიოს „უსისხლო დამშვიდებას" და „ამნისტია" აღუთქვა ყველას, ვინც საპყრობილეებსა და გადასახლებაში იმყოფება, მაგრამ მხოლოდ „მას შემდეგ, რაც აჯანყება შესწყდება". იგი დაჰპირდა კიდევ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც არსებითად არ განსხვავდებოდნენ ცალდარისის ყოფილი მთავრობის დაპირებათაგან.

მაგრამ, მუქარით განაცხადა სოფულისმა, თუ, მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, შეიარაღებული პარტიზანული მოძრაობა გაგრძელდება, „მთავრობა ულმობლად ჩაახშობს აჯანყებას და დასჯის ყველას, ვინც მას მხარს უჭერს ან თანაუგრძნობს, მის განკარგულებაში არსებული ყველა მორალური და ძალდატანებითი საშუალებით".

სოფულისი შეეხო საბერძნეთის ეკონომიურ მდგომარეობას, მადლობა გამოუცხადა შეერთებულ შტატებს და სთქვა, რომ ამერიკის დახმარება „დანიშნულებისამებრ" იქნება გამოყენებული.

მან აგრეთვე პირობა დასდო, რომ წარმოებასა და ფასებზე დაწესებულ იქნება კონტროლი, გადიდდება ექსპორტი, გატარდება საგადასახადო სისტემის რეფორმა, წარმოებულ იქნება ბრძოლა ფუფუნებასა და სპეკულაციასთან, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნება პროფკავშირთა თავისუფლება.

სოფულისი შეეხო საგარეო პოლიტიკას და განაცხადა, რომ საბერძნეთი ერთგულია მშვიდობის საქმისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაიმეორა თავის წინამორბედთა მტკიცება „გარედან მოწყობილი შეთქმულების" შესახებ, რომლისგანაც თითქოს იტანჯება საბერძნეთი. „საბერძნეთს, — სთქვა მან, — სწამს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და იმედი აქვს, რომ მისი დახმარებით ბოლო მოეღება საბერძნეთის წინააღმდეგ მიმართულ გარედან მოწყობილ შეთქმულებას. როგორც კი შეთქმულება შესწყდება, საბერძნეთი მზად არის ხელი გაუწოდოს პირველ რიგში თავის ჩრდილოეთელ მეზობლებს მათთან მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის".

ამერიკის შეერთებულ შტატებში პროგრესულ მოღვაწეებს სდევნიან

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი. (საქდესი). როგორც პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო ხელისუფლებმა ხელმეორედ აღძრეს საქმე საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალი ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის მუშაკის, რუმინეთის მკვიდრ ჯონ სანტოს გაძევების შესახებ. „სანტოს საქმე" იმის დამახასიათებელი მაგალითი შეიძლება იყოს, თუ რა მეთოდებს მიმართავენ ამერიკელი რეაქციონერები მუშათა მოძრაობის პროგრესულ მოღვაწეებთან საბრძოლველად.

პროფკავშირის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ როგორც პირველად, ისე მეორედ სანტოს გაძევების საქმე დაემთხვა იმ მომენტს, როცა ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირი გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა ნიუ-იორკის ავტობუსების მუშაკთა მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამჯერად სანტოს ბრალდება წაუყენეს იმ მომენტში, როცა ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირი ბრძოლას ეწევა ავტობუსების მუშაკთა პენსიების შესახებ შეთანხმების რეალიზაციისათვის, რომლის შესრულებაზე სატრანსპორტო კომპანიები ამჟამად უარს ამბობენ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ პენსიების საკითხს შეუძლია ნიუ-იორკის საავტობუსო ტრანსპორტის ყველა მუშაკთა გაფიცვა გამოიწვიოს.

იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ სანტოს წინააღმდეგ საქმის აღძვრასთან ერთად იუსტიციის სამინისტროს აგენტებმა დააპატიმრეს სასტუმროების მუშათა ადგილობრივი პროფკავშირის (რომელიც ამერიკის შრომის ფედერაციაში შედის) თავმჯდომარე, გერმანიის მკვიდრი ობერმაიერი, რათა გააძევონ იგი იმ ანალოგიური ბრალდების საფუძველზე, რომ იგი, უცხოელი, „მიემხრო ორგანიზაციას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ძალდატანებითს დამხობას ქადაგებს". შემდეგ ობერმაიერი გამოშვებულ იქნა 1.000 დოლარი საწინდრით და ელის თავისი საქმის გარჩევას საიმიგრაციო ხელისუფალთა მიერ.

ხმელთაშუა ზღვაში მყოფ ამერიკის ფლოტის სარდლის განცხადება

რომი, 9 სექტემბერი. (საქდესი). მილანის გაზეთ „კორიერე ლომბარდოსათვის" მიცემულ ინტერვიუში ხმელთაშუა ზღვაში მყოფ ამერიკის ფლოტის სარდალმა ბიერიმ განაცხადა, რომ „ამერიკის ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში იმყოფება და აქ დარჩება" და რომ „ამერიკის ფლოტი იტალიის წყლებში იქნება და ხმელთაშუა ზღვის სხვა ზონების წყლებშიც ივლის მას შემდეგაც კი, რაც ხელმოწერილ იქნება ჯერ კიდევ შორეული საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან". „საზღვაო მინისტრის მიერ 1946 წელს გამოცხადებული პოლიტიკის საფუძველზე, — განაცხადა ბიერიმ, — ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ ძალებს განალაგებენ ყველგან, სადაც ეს საჭირო იქნება მათი ინტერესების, საგარეო პოლიტიკის დასაცავად და ხელშესაწყობად, და, რამდენადაც მე ვიცი, ეს პოლიტიკა არ შეცვლილა".

შეკითხვაზე — დასტოვებს თუ არა ამერიკის ფლოტი იტალიის წყლებს, როცა ამერიკის ჯარები წავლენ ნახევარკუნძულიდან საზავო ხელშეკრულების შესასრულებლად, ბიერიმ უყოყმანოდ განაცხადა, რომ „ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია". და დაიმოწმა ის, რომ ამერიკის ჯარები ტრიესტში იმყოფებიან და, „ალბათ, ისინი იქ კიდევ დიდხანს დარჩებიან, ისევე როგორც გერმანიასა და ავსტრიაში".

ბიერიმ შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ზრუნავენ იმისათვის, რათა იტალიაში თავიანთთვის უზრუნველყონ ბაზები. „ცნობილია, — სთქვა მან, — რომ ვაშინგტონის გეგმებში ლაპარაკია იტალიაში ბაზების მიღებაზე საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ. ცნობილია აგრეთვე, რომ ამ საკითხებს შეეხებიან რომში მოლაპარაკების დროს ამ თვის დამლევს და რომ ეს საკითხები გამოხატულებას ჰპოვებენ მეგობრობის, ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ხელშეკრულებაში. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ მიზნით ნეაპოლი ან, იქნებ, პალერმო გადაიქცევიან იტალიაში ძირითად ბაზებად ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ოპერაციებისათვის იტალიის ხელისუფლებთან შეთანხმებით ნავარაუდევი ხელშეკრულების საფუძველზე".

ბიერიმ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრის განზრახვა განაგრძოს მჭიდრო თანამშრომლობა ინგლისთან. დასასრულ ბიერიმ განაცხადა, რომ ხმელთაშუა ზღვაში მყოფი ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ამჟამად შესდგება 5 კრეისერის, 7 საესკადრო ნაღმოსნის, 150 თვითმფრინავიანი 1 ავიანოსისა და 6 დამხმარე გემისაგან.

სამოქალაქო ომი საბერძნეთში

რომი, 9 სექტემბერი. (საქდესი). საბერძნეთის დემოკრატიული არმიის გენერალური შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ 30 აგვისტოს შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დემოკრატიული არმიის ნაწილებმა ზაგორიეს რაიონში დაიკავეს სოფელი გრევენიტი. მათ ხელთ იგდეს დიდი დავლა.

2 სექტემბერს ცენტრალური და დასავლეთი მაკედონიის ჯარების შტაბის ნაწილებმა ნესტორიის სამხრეთით კვლავ დაიკავეს კოპანზის მაღლობი, საიდანაც მათ რამდენიმე დღის წინათ უკან დაახევინა მოწინააღმდეგემ.

ცნობაში აღნიშნულია, რომ 25 აგვისტოს დასავლეთ თრაკიაში გამოჩნდნენ თურქი ჯარისკაცები, რომლებიც საბერძნეთის საზღვარს გადმოვიდნენ. ჯარისკაცები მოსახლეობას ეუბნებოდნენ, ეს რაიონი თურქეთს გადაეცემაო. თურქმა ჯარისკაცებმა მოსახლეობას სხვადასხვა ნივთები ჩამოართვეს და მალე თავიანთ ტერიტორიაზე წავიდნენ.

უმაღლესი შტაბის სხვა ცნობაში ნათქვამია, რომ ქსანტიის შტაბის ნაწილებმა 20 აგვისტოს იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე სოფელ პორტას რაიონში. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. 23 აგვისტოს ქსანტიის შტაბის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ჰარბი ძალების ძლიერი იერიშები. ბრძოლამ 12 საათს გასტანა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა ბევრი მოკლული, მათ შორის რამდენიმე ოფიცერი.

ცანკოვი ავსტრიის ხელისუფალთა ხელშია

ვენა, 7 სექტემბერი. (საქდესი). გაზეთი „ესტერრაიხიშე ცაიტუნგი" ათავსებს ზალცბურგიდან მიღებულ ცნობას, რომ ბულგარელი სამხედრო დამნაშავე ცანკოვი, რომელიც გლაზენბახის ბანაკში იყო, აგვისტოში ამერიკელმა საოკუპაციო ხელისუფლებმა გაათავისუფლეს. ახლა იგი კვლავ დააპატიმრეს ავსტრიის უშიშროების ორგანოებმა.

უნგრეთის კომუნისტური პარტიის სამთავრობო პროგრამა

ბუდაპეშტი, 9 სექტემბერი. (საქდესი). უნგრეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა თავისი სამთავრობო პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა გატარდეს სამწლიანი გეგმის განსახორციელებლად, მოსახლეობის მომარაგების უზრუნველსაყოფად და სიძვირესთან საბრძოლველად, აგრეთვე დემოკრატიის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სამწლიანი გეგმის განსახორციელებლად პროგრამა საჭიროდ სთვლის ჯერ კიდევ 31 ოქტომბრამდე მიღებულ იქნას კანონი უნგრეთის ნაციონალური ბანკისა და სხვა მსხვილი კერძო ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ. იგი ითვალისწინებს მთავრობის დეკრეტების გამოცემას, რომლებიც მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ საგადასახადო ტვირთის ძირითადი სიმძიმე შეძლებულ კლასებს დაეკისროს.

პროგრამა ითვალისწინებს უსასტიკესი ეკონომიის შემოღებას როგორც სახელმწიფო აპარატში, ისე საზოგადოებრივ დაწესებულებებში.

ქალაქებისა და სოფლების მომარაგების უზრუნველსაყოფად და სიძვირესთან საბრძოლველად პროგრამა საჭიროდ სთვლის შეიქმნას სახელმწიფო მარაგი, შემოღებულ იქნას კვებისა და ფართო მოხმარების ძირითადი პროდუქტების ფასების ორმაგი სისტემა, რათა მშრომელებს შეეძლოთ მაღალი ხარისხის საქონელი შეიძინონ დაკლებულ ფასებში, გადიდდეს ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და ვაჭრობა, შეიქმნას სპეციალური სასამართლო ვაჭრობის შესახებ კანონების დამრღვევთა საქმეების განსახილველად.

საერთო პოლიტიკური ამოცანების დარგში პროგრამა ითვალისწინებს ადმინისტრაციის რეფორმას და თვითმმართველობის ორგანოების განვითარებას. პროგრამაში ნათქვამია, რომ საჭიროა შემუშავდეს ახალი კანონი მუნიციპალური არჩევნების შესახებ და ეს არჩევნები ჩატარდეს მას შემდეგ, რაც პარლამენტი ამ კანონს მიიღებს. პროგრამა საჭიროდ სთვლის შეიქმნას გლეხობის ინტერესების დემოკრატიული წარმომადგენლობა და მოლაპარაკებისა და შეთანხმებათა გზით გადაიჭრას სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის პრობლემები.

საგარეო პოლიტიკის დარგში პროგრამა საჭიროდ სთვლის მომზადებულ იქნას და დაიდოს შეთანხმება დემოკრატიულ ქვეყნებთან — უნგრეთის მეზობლებთან, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიასთან დაიწყოს მოლაპარაკება სლოვაკიის უნგრელთა დემოკრატიული უფლებების უზრუნველყოფის საკითხზე.

დასასრულ პროგრამაში ნათქვამია, რომ ამ ამოცანების განსახორციელებლად „საჭიროა შეიქმნას ნაციონალური დამოუკიდებლობის ფრონტის მთავრობა, შრომის მთავრობა, ენერგიული დემოკრატიული მთავრობა".

მიწის რეფორმა პოლონეთში

ვარშავა, 10 სექტემბერი. (საქდესი). პოლონეთის მთელი პრესა აღნიშნავს პოლონეთში მიწის რეფორმის ჩატარების დეკრეტის გამოცემის მესამე წლისთავს.

რეფორმის შედეგად პოლონეთის ძველ მიწა-წყალზე მცხოვრებმა პოლონელმა გლეხებმა მიიღეს 2 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა, აქედან 1.155 ათასი ჰექტარი მიწა, რაც წინათ მემამულეთა საკუთრებას შეადგენდა. 3 წლის განმავლობაში შეიქმნა 150 ათასი მეურნეობა უმიწაწყლო გლეხებისა და სოფლის მეურნეობის მუშებისათვის. მცირემიწიანმა გლეხებმა და საშუალო გლეხთა მეურნეობებმა მიიღეს მიწის დამატებითი ნაკვეთები, რომელთა საერთო ფართობი 390 ათას ჰექტარს შეადგენს.

დიდი მუშაობა ჩატარდა პოლონეთის დასავლეთი მიწების დასახლებისა და ათვისებისათვის. სამი წლის განმავლობაში დასავლეთ მიწებზე გადასახლდა 350 ათასი ოჯახი, რომლებმაც 3,5 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა მიიღეს. სულ მიწის რეფორმის შედეგად პოლონელმა გლეხებმა მიიღეს 5.600 ათასი ჰექტარი მიწა. ორი მილიონამდე ჰექტარი მიწა კიდევ გასანაწილებელია.

იტალიის სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის გადაწყვეტილება

პარიზი, 9 სექტემბერი. (საქდესი). რომის რადიოს ცნობით დღეს იტალიის სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების განსახილველად წარადგინოს რეზოლუცია, რომელშიც უნდობლობას უცხადებს საერთო პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა ატარებს.

ნერუს და ლიაკატ ალი-ხანის ერთობლივი განცხადება

დელი, 9 სექტემბერი. (საქდესი). დელის რადიოს ცნობით, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავახარლალ ნერუმ და პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ლიაკატ ალი-ხანმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ორივე მთავრობა გადამწყვეტ ღონისძიებებს მიიღებს პენჯაბში მშვიდობის აღსადგენად. ორივე მთავრობა გადაუდებელ ღონისძიებებს მიიღებს ლტოლვილებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, შექმნის ორგანიზაციებს, რომლებიც ლტოლვილებს დახმარებას გაუწევენ საზრდოს და ტანსაცმლის მიწოდებით. ორივე მთავრობა აგრეთვე ყოველივეს გააკეთებს იმისათვის, რათა წართმეული საკუთრება პატრონებს დაუბრუნდეს.

ინგლისური ყოველკვირეული ჟურნალები დასავლეთ გერმანიაში მრეწველობის დონის ამაღლების ინგლის-ამერიკის გეგმის შესახებ

ლონდონი, 5 სექტემბერი. (საქდესი). ჟურნალი „ეკონომისტი" იწონებს დასავლეთ გერმანიაში მრეწველობის დონის ამაღლების ინგლის-ამერიკის ახალ გეგმას და აღიარებს, რომ ეს გეგმა ძლიერ განსხვავდება პოტსდამში მიღებული გეგმისაგან.

ამასთან „ეკონომისტი" გერმანიას განიხილავს ანგლო-საქსთა პარტნიორად და გაფრთხილებას იძლევა: „რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი ყველა ღონისძიება გერმანიის, როგორც დასავლეთ ევროპაში სიცოცხლისუნარიანი პარტნიორის აღდგენის დარგში. თვითეულ ამ დარგში მოკავშირეებს შეუძლიათ სიძნელეებს წააწყდნენ".

ჟურნალი „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშენი" ახალი გეგმის გამოქვეყნების მეთოდს „სამწუხარო" უწოდებს. საკვირველი როდია, რომ ამ წინადადებებმა დიდი შეშფოთება გამოიწვიეს საფრანგეთში და რომ სსრ კავშირმა პროტესტი განაცხადა პოტსდამის შეთანხმების ცალმხრივი გადასინჯვის წინააღმდეგ. ჟურნალი მწუხარებით დასძენს: „ერთადერთი რამ, რაც ამჟამად ცხადია, ის არის, რომ ინგლისის მთავრობა, რომელიც ნაკლებ ფიქრობს ევროპის უშიშროებაზე ან სოციალ-დემოკრატიის მომავალზე გერმანიაში, როგორც სჩანს, სიტყვაშეუბრუნებლად დაეთანხმა სახელმწიფო დეპარტამენტის კონცეფციას გერმანიის აღდგენის შესახებ. რაკი ასე მოიქცა, მან გერმანიის დაყოფა მიიღო როგორც აუცილებლობა; არა გვგონია, რომ ახლა საჭირო იყოს დიდი ოთხეულის კონფერენცია, რომელიც განზრახულია ნოემბერში".

გადადგა თურქეთის პრემიერ-მინისტრი

ანკარა, 9 სექტემბერი. (საქდესი). როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, დღეს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ პეკერმა პრეზიდენტ ისმეთ ინენიუს მიმართა წერილით, რომელშიც სწერს, რომ იძულებულია გადადგეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ინენიუმ თურქეთის პრემიერ-მინისტრად დანიშნა მეჯლისის დეპუტატი ჰასან საკა.

ომი ინდონეზიაში

ჰააგა, 10 სექტემბერი. (საქდესი). ბატავიიდან და ჯოკიაკარტიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, ინდონეზიაში საომარი მოქმედება ფართოვდება. ჰოლანდიის პრესის ცნობების თანახმად, ჰოლანდიის ჯარებმა არტილერიისა და ავიაციის დახმარებით დაიწყეს შეტევა ინდონეზიელთა პოზიციებზე ბანდუნგის სამხრეთით. რესპუბლიკელთა ჯარები გაძლიერებულ წინააღმდეგობას უწევენ ჰოლანდიელებს, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ მალანგის დასავლეთით.

კულტურული მომსახურება კოლმეურნეობებს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტმა თბილისის რაიონში მიავლინა აგიტმხატვრული ბრიგადა. ბრიგადა კულტმომსახურებას უწევს თბილისის რაიონის მოსახლეობას. რამდენიმე დღის წინათ ბრიგადა ეწვია გლდანის სასოფლო საბჭოს სოფელ მამკოდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას. აქ ბრიგადის მოძრავი ბიბლიოთეკის ორასზე მეტი მხატვრული და პოლიტიკური წიგნით ისარგებლეს კოლმეურნეებმა. კოლმეურნეობაში ჩატარდა ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-50 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები". ლექციის შემდეგ თბილისის ცენტრალური კულტურის სახლის თვითმოქმედი წრის ძალებით გაიმართა კონცერტი.

აგიტმხატვრულ ბრიგადას კოლმეურნეები ხალისით შეხვდნენ.

ფეხბურთი

9, 10 და 11 სექტემბერს ჩატარდა მორიგი მატჩები ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

9 სექტემბერს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი დამთავრდა ანგარიშით—1:1.

10 სექტემბერს მინსკში სტალინგრადის „ტრაქტორმა" წააგო ადგილობრივი „დინამოს" გუნდთან ანგარიშით—0:2.

ამავე დღეს მოსკოვში მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" გუნდმა დაამარცხა სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდი ანგარიშით—1:0.

ორი შეხვედრა მოეწყო 11 სექტემბერს. მოსკოვში სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „ცდკა" შეხვდა კიევის „დინამოს". მატჩი დამთავრდა არმიელ ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებით ანგარიშით—1:0. ლენინგრადში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. თამაში მიმდინარეობდა მოსკოვის „ტორპედოს" აშკარა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით—4:0.

დღეს, 12 სექტემბერს, ლენინგრადში თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ადგილობრივი „ზენიტის" გუნდთან ჩაატარებს მე-20 კალენდარულ მატჩს სსრ კავშირის 1947 წლის პირველობაზე.

ა. გოგოლაშვილი

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

12 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი კომკავშირული აქტივისათვის შედგება სემინარი თემაზე: **„ბოლშევიკების პარტია სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში"**.

სემინარს უხელმძღვანელებს დოცენტი **ს. ხა[illegible] მონგუშლოვი**.

12 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება დოცენტ **ენუქიძის** ლექცია თემაზე: **„კოლონიური პრობლემა თანამედროვე ეტაპზე"**.

ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში.

12 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება დოცენტ **ი. ხუციშვილის** კონსულტაცია სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში.

შემნახველი სალაროების მუშაკთა საყურადღებოდ

გაზეთ „კომუნისტის" 2 სექტემბრის ნომერში (№ 175) გამოქვეყნებული მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მესამე წლის გამოშვება) მოგებათა 27-ე ტირაჟის ცხრილი საცნობაროა. ვინაიდან ამ ცხრილში ზოგი ციფრი მკაფიოდ არ ჩანს, მის მიხედვით მოგებათა გაცემა არ იწარმოებს.

თეატრებში

12 სექტემბერს: **ფალიაშვილის სახელობის** — „ევგენი ონეგინი"; **რუსთაველის სახელობის** — „დიდი ხელმწიფე"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „კაცია ადამიანი?!". **გრიბოედოვის სახელობის** — „რუსეთის საკითხი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა
12 სექტემბერს

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — კონცერტი დების იმხნელების შესრულებით. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის —ილია ჭავჭავაძე და სამშობლოს სიყვარული. 18.20 — კონცერტი თბილისის სახელმწიფო ოპერის სოლისტის ნაჭყებიას შესრულებით. 19.15 — სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ გრიგოლ კილაძის სიმფონიური პოემა „განდეგილი" საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით. დირიჟორი ავტორი. 20.30 — რომანსები დაწერილი ილია ჭავჭავაძის ლექსებზე. 20.45 — საუბარი ქართულ ენაზე. 21.05 — კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის გიორგი ბარნაბაშვილის შესრულებით. 21.20 — ლიტერატურულ-დრამატიული გადაცემა, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების 40 წლისთავისადმი. 23.00 — სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატის, კომპოზიტორ შალვა მშველიძის საგუნდო ნაწარმოებნი საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის შესრულებით, გიორგი ხახანაშვილის ხელმძღვანელობით.

13 სექტემბერს საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო ვოროშილოვის სახელობის კლუბში (რუსთაველის პროსპექტი № 5) ატარებს შემნახველი სალაროს მეანაბრისა და სახელმწიფო სესხების ობლიგაციათა მქონებლის საღამოს.

კლუბში მოწყობილი იქნება საცნობარო მაგიდები სახელმწიფო სესხების ობლიგაციების შესამოწმებლად მოგებათა ყველა ტირაჟში. იქვე იწარმოებს მოგებათა განაღდება. სპეციალური საცნობარო მაგიდა გასცემს ცნობებს შემნახველ სალაროთა მუშაობის ყველა საკითხზე.

კლუბში გაიმართება კონცერტი თბილისის სახელმწიფო თეატრებისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტების მონაწილეობით.

საღამო-სეირნობის დასაწყისი საღამოს 7½ საათზე.

შესვლა მისაწვევი ბარათებით, რომელთა მიღება შეიძლება საწარმო-დაწესებულებებთან არსებული სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის დამხმარე კომისიების მეშვეობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო.

თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტი აცხადებს, რომ ასპირანტურაში დარჩენილ 2 ადგილზე (თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგია) მისაღები გამოცდები დანიშნულია ა. წ. 20 სექტემბრიდან. მსურველებმა ამ რიცხვამდე უნდა შემოიტანონ განცხადება სათანადო საბუთების დართვით.

ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ა. პ. ურუშაძე

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თბილისის სავაჭრო-კულინარიული სკოლა აწარმოებს 1947-48 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორებზე.

სკოლა ამზადებს დახლის მუშაკებს, კულინარებსა და მოანგარიშეებს. კურსდამთავრებულნი მოწყობილ იქნებიან სამუშაოზე თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებში.

სკოლაში მიიღებიან 7-8 კლასდამთავრებული ქალები და ვაჟები 15-დან 18 წლის ასაკამდე. სკოლაში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, დაბადების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ორი ფოტოსურათი. სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

განცხადებები მიიღება 15 სექტემბრამდე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლის კანცელარიაში საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

მისამართი: ჩაიკოვსკის ქ. № 9, ქალთა მე-2 საშუალო სკოლის შენობა, ტელეფონი № 3-52-10.

დირექცია

მოქალაქე **ნინო სიმონის ასულმა წერეთელმა**, მცხოვრებმა წულუკიძის ქ. № 7, აღძრა საქმე ლერმონტოვის ქ. № 25 მცხოვრებ მოქალაქე **სანდრო კაციას-ძე ბურდილაძესთან (არნო ონელი)** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მამა ვანო, ბებია პაშა, მამიდები ოლია და ნუნუ, სიძე ლეო კუპრეიშვილი ოჯახით იუწყებიან **ზურაბ ივანეს-ძე ჭავჭანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-IX, 5 ს. სახვოს, 81.

მეუღლე თამარ, შვილი ლეილა, და ფედო, ძმა შალვა ოჯახებით იუწყებიან **არსენ ხარიტონის-ძე ქავთარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-IX 7 ს. გამოსვენება 14-IX, 4 ს. წამლის შესახვევი, 2.

მეუღლე მარო, შვილები ვერა და ციცო, სიძეები გ. ოყრეშიძე, ბ. ჩხეტია შვილებით იუწყებიან **ვალოდია ესტატეს-ძე ბენიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IX ქუთაისში, კიროვის, 56.

მეუღლე თამარ, შვილები ლომთა, მუნვერი, მშობლები ნიკოლოზ, ერმონია, და ანეტა, ძმები გიორგი, მიშა ოჯახებით იუწყებიან **ვიაჩესლავ (იაშა) მაღრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა მარელისში. 13-IX.

ჰოლოკავა, ჯიბლაძე, ვოლფენზონი, ჩინჩალაძე, თითირაშვილი, ბახტაძე, კალანდაძე, მაცაბერიძე, ბოჭორიშვილი, გურაშვილი იუწყებიან **ქსენია ქორიძის** დედის **მატრონას** გარდაცვალებას.

ტრესტ „საქართველოს ჩაის" თანამშრომლები იუწყებიან **ვალერიან ლავრენტის-ძე ჯობავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-IX ხობში.

მეუღლე ევგენი ურუშაძე, დედა ელისაბედ, ძმა მექი, დები პატკუ, ნინო, იუწყებიან **ნადია პავლეს ასულ ბალავაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-IX, 7 ს. გამოსვენება 14-IX, 4 ს. ქუჩიშვილის შესახვ., 4.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—8-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-24, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—8-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 12653